შიდა ქართლი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№27 (9.789)
15 – 22 ივლისი 2017 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

გვ.5

ინკლუზიური სწავლება – შედეგები და გამოწვევები

ალოობა, გადაწვის მავნე პრაქტიკა და ცეცხლს გატანებული მილიონები

გვ.3

„წელს ქერი და ხორბალი 33 000 ჰექტარზეა დათესილი და ის შარშანდელ მაჩვენებელს აღემატება...“



გვ.3

უფასო სამედიცინო აქცია

გადამწვარი ტუმბო – უწყლობის მიზეზი

გვ.5

ლაშა ბექაური ევროპის ჩემპიონია

გვ.5

გვ.8

ეს ჯერ კიდევ დასაწყისია

ნიჭიერი და შრომისმოყვარე ბიჭის ამბავი

გვ.2

სიკეთე გადამდებია...

გვ.2

C M Y K

ნიჭიერი და შრომისმოყვარე ბიჭის ამბავი

სამრეკლოს საჯარო სკოლამ წარმატებით დაამთავრა მიმდინარე სასწავლო წელი. ბევრი რამ გაკეთდა სკოლაში როგორც სააღმზრდელო, ისე მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისითაც, მაგრამ ამაზე სხვა წერილში ვისაუბრებთ. ახლა კი ამ სკოლის ერთი ნიჭიერი და მშრომელი ბიჭის ამბავს მოგიყვებით, ბიჭისა, რომლის ცხოვრების წესი, ზრდილობა, სწავლის წყურვილი და მომავლის დიდი გეგმები მისაბაძია სხვა ბავშვებისათვის. **ნიკოლოზ ბოსტოღანაშვილი** 12 წლისაა, ის მეშვიდე კლასში გადავიდა. სულ პატარას გარდაეცვალა მამა. კობა ბოსტოღანაშვილი ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შედეგად სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა და მეუღლეს – მანანა ნარინდოშვილს სამი შვილი დარჩა გასაზრდელი. ცალუღლად დარჩენილ სუსტ რძალს მხარში ამოუდგნენ ერთადერთი და საფიცარი ძმის სიკვდილით გამწარებული დები მანანა და მარინა ბოსტოღანაშვილები. მანანა, თავის ოჯახთან ერთად, სოფელ სამრეკლოში ცხოვრობს, მარინა კი – დედაქალაქში. ისინი საკუთარი შვილებივით ზრუნავენ ძმისშვილებზე და მათი ცხოვრების გზამკვლევები არიან. უფროსი – გურამი, უკვე 23 წლისაა, თბილისში, მამიდასთან ცხოვრობს და ამერიკის საელჩოს დაცვაში მუშაობს, შუათანა – მარინა სამრეკლოს სკოლის მეთორმეტეკლასელია. ნიკოლოზი კი უმცროსია. როგორც ზემოთაც ვთქვით, ის მეშვიდე კლასში გადავიდა, ის კი არ გვითქვამს, რომ კლასის ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლეა. დიახ, საუკეთესოა, რადგან მიზანსწრაფული ყმაწვილი, სრულიად დამოუკიდებლად, განათლების ორ ცნობილ პროგრამაში – „კინგსსა“ და „სმარტში“ მონაწილეობს და წელიწადნახევარში ოცზე მეტი დიპლომი და სერტიფიკატი აქვს მოპოვებული. – გაგაცნობთ რამდენიმე მათგანს:

დიპლომი – ნიკოლოზ ბოსტოღანაშვილს „კინგსში“ წარმატებული მონაწილეობისათვის. მონაწილემ დასკვნით ტურში დააფიქსირა შესანიშნავი შედეგი მათემატიკაში. 29.01.2017 წელი.

სერთიფიკატი – დოკუმენტი ადასტურებს, რომ ნიკოლოზ ბოსტოღანაშვილი არის „კინგსის“ ქართული ენის ოლიმპიადის წარმატებული მონაწილე და გაწევრიანებულია საქართველოს საუკეთესო მოსწავლეთა კლუბში.

სერთიფიკატი - ჯილდოვდება „კინგსის“ **მათემატიკის** საერთაშორისო ოლიმპიადაში წარმატებული მონაწილეობისათვის ნიკოლოზ ბოსტოღანაშვილი.

წარმატებული მოსწავლის სერთიფიკატით ჯილდოვდება ნიკოლოზ ბოსტოღანაშვილი

მასზედ, რომ მონაწილემ წარმატებით დაძლია „სმარტის“ **მათემატიკის** ოლიმპიადის ფინალური ეტაპი და წარდგენილი იყო ნომინაციაზე: მეთოდოლოგიური შერჩევა.

პატარა ნიკოლოზი ახალი სასწავლო წლისათვის ელოდება კიდევ სამ დიპლომს „კინგსის“ და „სმარტის“ საგაზაფხულო ოლიმპიადებში მიღწეული წარმატებისათვის მათემატიკაში, ინგლისურში და ქართულ ენაში.

- ნიკოლოზ, როგორც შენი „დოკუმენტები“ ლაპარაკობენ, მათემტიკა, ქართული და ინგლისურია შენთვის ყველაზე პრიორიტეტული.

- ყველა საგანს ერთნაირი მონდომებით ვსწავლობ, მაღალი ქულებიც მაქვს, მაგრამ მათემატიკა გამორჩეულად მიყვარს, ქართულს ვსწავლობ კარგად, რადგან ქართველი ვარ და ვალდებული ვარ, ინგლისურის ცოდნა კი, დღეს აუცილებელია წარმატებისათვის.

– კარგად სწავლისთვის, ალბათ, ბევრი დრო გჭირდება.

– არც ისე, ორჯერ ვკითხულობ, მერე ვყვები და ვიცი, რომ 10 ქულა გარანტირებული მაქვს. არ მიჭირს მასალის ათვისება, როგორც გინდა რთული იყოს, მთავარია, გულისყურით მოვუსმინო მასწავლებელს და ზერელედ არ წავიკითხო. არავის დახმარება არ მჭირდება, დამოუკიდებლად ვმუშაობ, ასე იქნება მომავალშიც. არ მინდა, რეპეტიტორი დამჭირდეს.

– რა არის შენი მიზანი, ვინ გინდა, გამოხვიდე?

– საბავშვო ბაღში პოლიციელობა მინდოდა. ახლა მთლად ბოლომდე არ გადამიწყვეტია, იქამდე კიდევ დიდი დროა, მაგრამ მოსამართლეობაზე ვფიქრობ, კარგია, როცა სამართალს იცავ, არ აძლევ უფლებას ბოროტ ადამიანებს, დაჩაგრონ სუსტები და უპატრონოები.

– შენს წარმატებებში ვინ ასრულებს დიდ როლს, ვისი მადლიერი ხარ?

– ოჯახში მაქვს საკმარისი კომფორტი იმისათვის, რომ ვიმეცადინო ჩემს ოთახში, ხელს არავინ მიშლის, პირიქით. მადლობელი ვარ ჩემი პირველი მასწავლებლის ია უსტიაშვილის, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჩემს ცოდნას. საყვარელი საგნის საყვარელი პედაგოგია ლია რობიტაშვილი მათემტიკაში, ქართულს კი გამოცდილი მასწავლებელი ნანა საყვარლიშვილი მასწავლის და სამშობლოს სიყვარულს მინერგავს გულში. მთელი ცხოვრება მემახსოვრება ჩემი მანანა და მარინა მამიდების მშობლიური ამაგი. ვგრძნობ, როგორ ვუყვარვარ ჩემს ძმას და თავისი ხელფასით ბევრ საჩუქარს მიკეთებს. მალე ჩემი დაბადების დღე იქნება. ველოსიპედს მპირდება, ძალიან მიხარია. გამორჩეულად გვერდში მიდგანან მამაჩემის ნათესავები, ალბათ, მისი ხსოვნის პატივსაცემად და იმიტომაც, რომ კარგად ვსწავლობ და კარგად ვიქცევი.

– კითხულობ სკოლისგარეშე ლიტერატურას თუ საგნების სწავლით და პლანშეტითა და ბუკით შემოიფარგლები?

– არა, რას ბრძანდებთ, წიგნის კითხვა ეს ჩემთვის დიდი სიამოვნებაა. ძირითადად, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ავტორების მოთხრობებს და ნოველებს ვკითხულობ. ილია, აკაკი, ვაჟა არ იცოდე, სირცხვილია, ოტია იოსელიანი და რევაზ ინანიშვილი ძალიან საინტერესოა. სათავგადასავლო წიგნები მიყვარს, მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის ამსახველი. ამჯერად ოქსფორდის ენციკლოპედიას ვკითხულობ. ჩვენს კლასს აქვს ტრადიცია, დაბადების დღეზე კლასში მოგროვილი თანხით ერთმანეთს წიგნი ვაჩუქოთ. ეს კარგი ტრადიცია ჩვენმა კლასის ხელმძღვანელმა თამარ ყოჩიაშვილმა დანერგა, რაც ძალიან მომწონს. ახლა სწორედ დაბადების დღის წინსწრებით მაჩუქეს ეს ენციკლოპედია, რომელიც მრავალმხრივ განვითარების საშუალებას იძლევა. რას არ წაიკითხავთ აქ - ცხოველთა სამყაროზე, მსოფლიოს ბუნებაზე, ადამიანის აღნაგობაზე, მის ორგანოებზე, მეცნიერებათა მსოფლიო მიღწევებზე. რომ დაიწყებ, ვეღარ მოწყდები, ისეთი საინტერესოა.

– კიდევ რით ხარ დაკავებული?

– ცოტა წონაში მოვიმატე, მეტი ვარჯიში მჭირდება ალბათ. უკვე დავდივარ კიკბოქსინგზე თამაზ ყარაგვეზაშვილის გუნდში. ჩემი პირადი მწვრთნელი კი არსენ ყარაგვეზაშვილია. მინდა, ფეხბურთზეც ვიარო. ვეცდები, დრო გამოვნახო.

– რა არის შენი მიზანი ახლო მომავალში?

– მე გადმომეცა სამაჯური „მე ვარ „კინგსელი“ და, აგრეთვე, თი-ბი-სი ბანკის ფასდაკლების ბარათი, რომლითაც შემიძლია წავიდე კინოში, თაეტრში, ატრაქციონებით ვისარგებლო ნებისმიერ პარკში. მინდა, გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და თბილისში მარინა მამიდას და ჩემი ძმის დახმარებით ვნახო ბევრი ახალი ფილმი, გავეცნო თეატრს და ვიკატაო მთაწმინდის პარკში. რაც შეეხება სწავლას, მინდა ისე ვისწავლო, რომ დავიმსახურო პრეზიდენტის საჩუქარი ძვირადღირებული და მრავალი შესაძლებლობის მქონე ლეპტოპი.

ძვირფასო მკითხველო, ნუ იფიქრებთ, რომ მე ვალამაზებ ან ვამდიდრებ ნიკოლოზის მსჯელობას, აზროვნებას ან ლექსიკას. არა, მე გამაოცა ამ ცისფერთვალება, საყვარელი ბავშვის შესაძლებლობებმა, ბევრი მოწიფული ადამიანი არ აზროვნებს და ისე ზუსტად ვერ გადმოსცემს თავის ნაფიქრალს, როგორც ეს 12 წლის ბიჭი, რომელსაც, ეჭვიც არ მეპარება, წინ დიდი მომავალი აქვს. აი, რას ამბობს მასზე მისი კლასის დამრიგებელი თამარ ყოჩიაშვილი.

თამარ ყოჩიაშვილი (ასწავლის საგანს „ჩვენი საქართველო“, რაც საქართველოს ისტორიას გულისხმობს და ხელოვნებას. ის სპეციალობით ხელოვნებათმცოდნეა სიძველეთა ტექნიკური ექსპერტიზის განხრით): მეხუთე კლასიდან ვხელმძღვანელობ ამ კლასს. 14 ბავშვი მყავს – 10 ბიჭი და 4 გოგო. ბიჭების სიმრავლის მიუხედავად, საუკეთესოდ სწავლობენ, 90% 9 და 10 ქულიანია. მათ შორის გამოვარჩევ ნიკოლოზს. ის მშვიდი, გაწონასწორებული, ზრდილობიანი და უაღრესად გონიერი ბავშვია, ცდილობს, უმამობა არ შეიმჩნიოს და თავისი შრომით გაიკაფოს ცხოვრების გზა. უაღრესად დამოუკიდებელია, თითქმის ორი წელია, „კინგსის“ და „სმარტის“ პროექტებში მონაწილეობს და მარტო მიდის დედაქალაქში ტურების გასავლელად. მართალია, იქ ძმა ან მამიდა ხვდება და მეურვეობს, მაგრამ მისი ტოლები ჯერ კიდევ მშობლებზე ხელჩაკიდებულები დადიან, ის კი თავის თავზეა დამოკიდებული. უაღრესად კეთილი და უბოროტოა, თუ ვინმეს დახმარება სჭირდება, უკან არ დაიხევს. ის მშვიდად და მიზანდასახულად მიდის წინ. მე მასში წარმატებულ და მოწესრიგებულ, ღირსეულ მოქალაქეს ვხედავ მომავალში.

უფალო, შეეწიე პატარა ნიკოლოზს, რომელსაც უნდა, რომ დიდი კაცი გახდეს.

ნაირა გორაშვილი

სიკეთე გადამდებია...

მიმდინარე წლის მაისში, სოფელ სამრეკლოში განხორციელდა პროექტი „სოფელი ჩვენი სახლია“, რომელიც დაწერილია თამარ ჯეთერიშვილის, ლალიკო გოგილაშვილისა და სალომე სიმონიძის მიერ. პროექტის ზედამხვედველები იყვნენ მარიამ ჯორკოშვილი და დანიელ თედეევი, რომლებიც ეხმარებოდნენ პროექტის ავტორებს. მათ ამ პროექტის ფარგლებში სკვერში ჩადგეს სკამები(ოთხი ცალი) და დაასუფთავეს მიმდებარე ტერიტორია, რაშიც მოსახლეობამ მიიღო აქტიური მონაწილეობა. ამ ყველაფრით კი მოხუცი ადამიანები ძალიან გახარებული იყვნენ. მათ, პენსიის ასაღებად წასულებს, დიდხანს უწევდათ ფეხზე დგომა და არ შეეძლოთ, ამ სკამების წყალობით კი დასვენებას შეძლებენ და ამისთვის პროექტში მონაწილე ახალგაზრდებს დიდი მადლობა გადაუხადეს ამ კეთილი საქმის განხორციელებისათვის.

სულ პროექტის განხორციელებაში ბავშვებმა 706 ლარი გახარჯეს და სოფლის მოსახლეობა მოიმადლიერეს.

ალოობა, გადაწვის მავნე პრაქტიკა და ცეცხლს გატანებული მილიონები

წელს ქერი და ხორბალი 33 000 ჰექტარზეა დათესილი და ის შარშანდელ მაჩვენებელს აღემატება...

დედოფლისწყაროში ალოობა ძალაში შევიდა. წლევანდელი მოსავლით ფერმერები კმაყოფილებას ვერ მალავენ. კლიმატურმა პირობებმა გაამართლა და გლეხებმა, რომელთაც მიწას კარგად მოუარეს და ხარისხიანი სათესლე მასალაც შეიძინეს, მოსავალიც კარგი მიიღეს. თუმცა, ალოობის დროს მიწათმოქმედების თავის ტკივილად კომბაინების დეფიციტი იქცა. გლეხები წუხან, რომ მოსავლის აღებას და დაბინავებას ტექნიკის ნაკლებობის გამო დროულად ვერ ახერხებენ, ამასობაში კი მოსავლის უდანაკარგოდ აღების რისკი იზრდება. რა ხდება ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად დედოფლისწყაროში, კვლავ რჩება თუ არა ჩვენი რაიონი ხანძარსაშიშ ზონად, როგორია სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივა, ამ კითხვებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს *მივმართეთ:*

– „ალოობა - 2017“ წარმატებულად მიმდინარეობს. თავდაპირველად, ამინდების გამო ცოტა გვიან დაიწყო მოსავლის აღება, და მოხდა ისე, რომ ალაზნისპირასაც და შირაქის ველზეც ერთდროულად შემოვიდა მარცვლოვანი კულტურები, ამის გამო მცირე სირთულე იყო კომბაინებთან დაკავშირებით. მოსახლეობაც ჩქარობდა, პირველ რიგში, ქერის აღებას და დაბინავებას. ადგილობრივმა ხელისუფლებამ, მაჟორიტარ დეპუტატთან და კახეთის მხარის რწმუნებულთან (გუბერნატორთან) ერთად ორგანიზება გაუკეთა ტექნიკის გადანაწილებას სოფლებში, სადაც ყველა ფერმერს ჰქონდა იმისი საშუალება, რომ დაეწყო მოსავლის აღება. ყველა სოფელში ორი კომბაინი მუშაობდა და მოსახლეობას ემსახურებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ალაზნისპირას მორჩა მოსავლის აღება, ის კომბაინებიც დაემატნენ შირაქს და სხვა სოფლებს და ტექნიკის დეფიციტის საკითხი მოხსნეს. დღეისათვის, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქერის აღება, ფაქტიურად, დასრულებულია, რაც შეეხება ხორბალს, მისი 30% აღებულია. დღეის მდგომარეობით, შპს „მექანიზატორის“ დედოფლისწყაროს ოფისის წინ 28 კომბაინია მობილიზებული და ელის ფერმერებს, ხოლო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „მექანიზატორის“ ჩალაუბნისა და ქარელის სერვის ცენტრების კომბაინებიც მუშაობს, მათი რაოდენობა 20 ერთეულს შეადგენს, ასევე მუშაობს ტექნიკა, რომელიც კერძო სექტორის საკუთრებაა-40 კომბაინი, რაც ვფიქრობ, მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისთვის სრულიად საკმარისია.

– როგორ ფიქრობთ, უხვი მოსავალი არის თუ არა სტიმული გლეხებისთვის, დაუბრუნდნენ მიწას და თუ გაქვთ სტატისტიკური მონაცემები, რომელიც რეალურ სურათს იძლევა დამუშავებული მიწის ფართობების შესახებ?

– მოსავალი წელს, ისევე როგორც შარშან, ბარაქიანია. მოგეხსენებათ, გაზაფხულზე ნაკვეთები ქარმა დააზიანა, ფერმერებს იმედი გადაეწურათ, რომ უხვმოსავლიანი წელი ექნებოდათ, მაგრამ წვიმებმა ეს ხარვეზი გამოასწორა და დღეს, ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ნაკვეთებზე მიღებული საშუალო მოსავლიანობა 3 ტონას შეადგენს, ხოლო იმ მიწის ფართობებზე, რომელიც ქარს არ დაუზიანებია, საშუალო მოსავლიანობა 4 ტონაა. უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს მიწის ფართობების რეკორდული მაჩვენებელია დამუშავებული. ნამდვილად დადებითი ტენდენცია შეინიშნება ამ ბოლო წლებში- მეტი ადამიანი ცდილობს მიწის დამუშავებას- ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, წელს ქერი და ხორბალი 33 000 ჰექტარზეა დათესილი და ის შარშანდელ მაჩვენებელს აღემატება. ასევე გაზრდილია მზესუმზირის ნათესების რაოდენობაც. ამინდებს ისეთი პირი უჭანს, რომ მისი მოსავალიც უხვი იქნება. ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ ალოობა-2017 ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს, ამინდის პროგნოზიც დამაიმედებელია და ვიმედოვნებთ, რომ ყველაფერი წარმატებით დაგვირგვინდება- ფერმერები შეძლებენ დააბინავონ თავიანთი მოსავალი.

– ალოობის მიმდინარეობისას ხშირია ხანძრის შემთხვევები, რომლის გამომწვევი მიზეზიც ნაკვეთების გადაწვაა. წინა წლებში გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების დაფინანსებით გაშენებული ქარსაფარი ზოლიც შეეწირა გადაწვის მავნე პრაქტიკას...

– ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო, რომ სახანძრო-სამაშველო სამსახურის ბრიგადები მობილიზებულია და შუაგულ შირაქში დამატებითი სახანძრო პუნქტია გახსნილი, 4 მანქანა მუდმივად დგას და მზადყოფნაშია, რომ ხანძრის შემთხვევა დროულად აღკვეთოს, რათა არ გავრცელდეს დიდ არეალზე. ჯერ არცერთი ხანძარი არ ყოფილა და დიდი იმედი მაქვს, რომ მოსავლის აღება ისე დამთავრდება, რომ ხანძრის შემთხვევა არ მოხდება. ამ მოძრავი პუნქტის გარდა, მზადყოფნაში არიან დედოფლისწყაროსა და არხილოსკალოს სახანძრო-სამაშველო სამსახურები, ისინი ჩვეულ რეჟიმში მუშაობენ და რეაგირებისთვის მზად არიან. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ სხვა სახანძრო მანქანების დახმარება საჭირო არ გახდება. აქვე, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოვუწოდო ჩვენს მოსახლეობას, რომ მაქსიმალურად თავი შეიკავონ ნაკვეთების გადაწვისაგან, რამეთუ, გადაწვა აზიანებს როგორც მიწის ჰუმუსოვან ფენას, ასევე ძალიან დიდი რისკია სხვა ნაკვეთებზე ცეცხლის გავრცელების, ქარსაფარი ზოლების დაზიანების, რისი არასასიამოვნო პრეცედენტებიც გვაქვს წინა წლებში.

– ეს რაც შეეხება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, მაგრამ რას აკეთებს ადგილობრივი ხელისუფლება ხანძრების პრევენციის მიზნით?

– დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა, ასევე GIZ (გერმანიის საერთაშორისო საზოგადოება), რომელიც ჩვენი პარტნიორია, საკმაოდ დიდ მუშაობას ვეწევით, როგორც საგანმანათლებლო კუთხით ფერმერებთან, ასევე სხვადასხვა მიმართულებით. ჩვენმა საინფორმაციო შეხვედრებმა როგორც ფერმერებთან, ასევე მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან, ბროშურების დარიგებამ, გზებზე ამკრძალავი ნიშნების დაყენებამ, შედეგი გამოიღო -ბევრი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გადაწვის მავნე პრაქტიკისაგან თავი შეიკავოს. ზედამხედველობის სამსახურის მონიტორების მუშაობამ, რომლებიც მოსავლის აღების პერიოდში და განსაკუთრებით, დამთავრების შემდეგ, როდესაც მიწის დამუშავება-კვლავწარმოება იწყება, იმ პერიოდში აქტიურად მოძრაობს შირაქისა თუ სხვა ნაკვეთების ტერიტორიაზე, შედეგი მოგვცა ის, რომ შარშან, მთლიანობაში, 15%-მდე შემცირდა გადაწვების რაოდენობა. აქ საუბარია არა ხანძრებზე, არამედ ნაკვეთების გადაწვის მაჩვენებელზე. კარგია, რომ ჩვენმა ფერმერებმა დაიწყეს მართული გადაწვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველამ განახორციელა ნაკვეთის შემოხვნა მის გადაწვამდე, რაც ძალიან ამცირებს მომიჯნავე ნაკვეთზე და ქარსაფარზე ცეცხლის გადასვლის რისკს. ეს მონაცემები რომ ნამდვილია, ამას ამტკიცებს ის მასალა, რომელიც GIZ-ის დახმარებით მოვიპოვეთ- მოხდა აეროკოსმოსური გადაღებები და წინა წლის მაჩვენებელთან მისი შედარება. ეს ზუსტი ციფრებია, რომელიც შეგვიძლია სტატისტიკის სახით მოვიყვანოთ: როგორც გითხარით, 15%-ით მოხდა ნაკვეთების გადაწვის შემცირება, ხოლო რაც შეეხება ქარსაფარ ზოლებზე ცეცხლის გავრცელებას, ის 40-45 %-ითაა შემცირებული. ასევე, ჩვენ გაზაფხულზე გვქონდა საკმაოდ დიდი შეხვედრა ფერმერებთან, სადაც მუნიციპალიტეტის და GIZ-ის გარდა, მონაწილეობდა როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ასევე გარემოს დაცვის სამინისტრო. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს შეხვედრა და ჩვენ მივაღწიეთ იმას. რომ ჩვენი თხოვნა გაითვალისწინეს და შპს „მექანიზატორის“ კომბაინებით მომსახურების პირობებში ხალხს აღარ უწევს დამატებითი თანხის -10 ლარის გადახდა ჩოფერის გასააქტიურებლად. ჩოფერი არის მექანიზმი, რომელიც აღებულ ნამჯას აქუცმაცებს და ცეცხლის გავრცელების რისკი მნიშვნელოვნად მცირდება. ფერმერებმა კარგად იციან, რომ დაქუცმაცებული ნამჯა მიწის დამუშავებისა თუ მოხვნის დროს, მიწაში ჩასვლისას, ფაქტიურად, ნეშომპალად იქცევა და ბუნებრივი სასუქია მისთვის და ამ პირობებში ნაკვეთის გადაწვის აუცილებლობაც აღარ დგება დღის წესრიგში.

ჩვენ მუდმივი კონტაქტი გვაქვს შპს „მექანიზატორთან“ და მათი ინფორმაციით ცნობილია, რომ 90%-ს ჩართული აქვს ეს მომსახურება ფერმერების მოთხოვნის საფუძველზე, რაც შეეხება იმ 10%-ს, ეს მოსახლეობის ის კატეგორიაა, რომელსაც ჰყავს საქონელი და თივის პრესი მის გამოსაკვებად სჭირდება.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო შპს „მექანიზატორის“ ხელმძღვანელს პაატა შეყილაძეს და დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრის ხელმძღვანელს დავით გონაშვილს ჩვენი მოსახლეობის გვერდში დგომისთვის.

ვთვლი, რომ ზედამხედველობის სამსახურის ინსპექტირება მოსახლეობის თვითშეგნების ამაღლებასთან ერთად საუკეთესო საშუალებაა ხანძრების პრევენციისთვის. ხანძრისგან თავდაცვა კი მოსავლისა და ნაკვეთის უსაფრთხოებასთან ერთად ჩვენს კეთილდღეობაზე და ჯანმრთელობაზე ზრუნვასაც გულისხმობს- მეტი ქარსაფარი ზოლი და მწვანე საფარი კლიმატური ცვლილებების უარყოფითი შედეგების საუკეთესო პრევენციაა.

ინგა შიოლაშვილი

უფასო სამედიცინო აქცია



9 ივლისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერითა და „ფრონტერა რისორსის კორპორეიშენის“ ინიციატივით, ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლაში, ჩატარდა უფასო საქველმოქმედო - სამედიცინო აქცია. ადგილზე იმყოფებოდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და საკრებულოს თავჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი.ექიმებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის დიაგნოსტირება ჩაუტარეს და შესაბამისი დანიშნულებები მისცეს. კერძოდ, მოსახლეობას სამედიცინო მომსახურება გაუწიეს პროფესიონალმა ექიმებმა- კარდიოლოგებმა, ენდოკრინოლოგებმა და ქირურგ-პროქტოლოგებმა.

პაციენტებს ასევე ჩაუტარდათ კარდიოლოგიური და მუცლის ღრუს ექოსკოპიური კვლევები.უფასო საქველმოქმედო - სამედიცინო აქციით 130-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა.

ჩვენ აქციის მსვლელობისას კომენტარები ჩავიწერეთ. კარდიოგრამისტი ნინო ხვთისიაშვილი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ კარდიოგრამის გადაღების პროცესში რაიმე განსაკუთრებულ პრობლემებს არ შეხვედრია, მოსახლეობა თითქმის ერთიდაიგივე სახის ჩივილებით მიმართავდა, მას კი, როგორც გამოცდილ კარდიოგრამისტს, თავისუფლად შეეძლო მათთვის კარდიოგრამის ნაკითხვა და რჩევების მიცემა, თუმცა, ურჩევდათ, სკოლის მეორე სართულზე განთავსებული, გამოცდილი და დედაქალაქში კარგად ცნობილი კარდიოლოგებისთვის მიემართათ მათ.

მალხაზ გაბისონია, **კარდიოლოგი** – ჩემთან შემოსულ მოსახლეობას ძირითადად წნევა აწუხებს, მაგრამ მათი უმრავლესობა, აღმოჩნდა, რომ საკმაოდ ძლიერი პრეპარატებით იწყებს წნევასთან ბრძოლას, რაც ჩემი აზრით, გაუმართლებელია. მე მათ ვურჩიე, რომ მაქსიმალურად მარტივად დაიწყონ წნევასთან შერკინება, მაგ დროს ფეხზე მიიღონ ცხელი აბაზანები და ელემენტარული ვალერიანის ტაბლეტების მიღებით სცადონ ჯერ გამოსავალი. ადამიანს დღის მანძილზე 20 ჯერ მაინც ეცვლება წნევის ნიშნული და უმჯობესია, ის 12-დან 18 საათამდე შუალედში გაიზომონ, ჭამიდან ერთი საათის შემდეგ, მოსვენებულ მდგომარეობაში. მთვარია, მისი გამომწვევი მიზეზი შინაგანი ორგანოები არ იყოს. მაღალი არტერიული წნევა ძირითადად ემოციურ ფონზე ვითარდება და მისი მართვა ბევრად მარტივია, ვიდრე ჩვენ გვგონია.

ზოგადი მდგომარეობა დინამიურია, რაიმე ძალიან რთული და განსაკუთრებულად საყურადღებო ვითარება ჯერჯერობით არ დამიფიქსირებია.

სამედიცინო კვლევების პარალელურად ჩატარდა ლექციები პედიატრიის საკითხებზე. პროფესორმა გიორგი ჩახუნაშვილმა წაიკითხა ლექცია თემაზე- „ბავშვთა კარდიოლოგიის აქტუალური საკითხები“, ხოლო ჩვენმა თანამემამულემ, წარმატებულმა ექიმმა დიმა ტოკლიკიშვილმა დაწვრილებით ისაუბრა ორსულებისა და ახალშობილთა მოვლის შესახებ.

ივანე ცხოველიძე, **„ფრონტერა რისორსის კორპორეიშენის“ სოციალური პროექტების დირექტორი:** – „უფასო სამედიცინო აქცია ჩვენი ორგანიზაციისათვის უცხო არ გახლავთ. მთელი საქართველოს მასშტაბით ხშირად ვახორციელებთ სამედიცინო კვლევებს მოსახლეობისთვის, რომლებსაც კვალიფიციურ ექიმებთან ხშირი ვიზიტის საშუალება არ აქვთ. დღეს აქ საუკეთესო სპეციალისტები იმყოფებიან და ცდილობენ, რომ ყველა მსურველს მოემსახურონ. ეს აქცია ერთჯერადი არ გახლავთ და მომავალშიც გაგრძელდება“.

ოცნების ხედი, ჩემი ბაჰამის კუნძულები



დღეს ბევრი ამბობს, საქართველო ემიგრანტებმა გადაარჩინესო, არ გვინდა ამ რეალობის დაჯერება, მაგრამ ეს მწარე რეალობაა. არავინ იცის, ვის უფრო მეტი ტკივილი ერგო - აქ დარჩენილთ, თუ საზღვრებს გარეთ ვითომ „ნებით“, სინამდვილეში ცრემლნარევი თვალებით იძულებით წასულებს.

ძნელია, წახვიდე უცხო ქვეყანაში და იქ ჯერ იბრძოლო საკუთარი თავის გადასარჩენად, ხოლო შემდეგ საკუთარი იდენტობის დასამკვიდრებლად... ამ პირობებში იშვიათები თუ ფიქრობენ ქართულ მიწა-წყალზე დაბრუნებას და ჩვენი მიწის შვილობის სისხლის ყივილიც დღითიდღე მსოფლიოში იფანტება. - დაბრუნდებიან?–ხშირად ისმის კითვა. სათქმელად ყველას სურს დაბრუნება, თუკი აქ კარგი პირობები შეიქმნება, მაგრამ იშვიათები ფიქრობენ ემიგრანტობის პირობებში იმას, რომ თავად შეიქმნან აქ ის ფონი, რათა დაბრუნდნენ.

მიუხედავად უამრავი სახელმწიფო პროგრამის მცდელობისა, რომ სოფლად თუ ქალაქად მიგრაცია შეაჩერონ, ფაქტი ერთია, მიგრაცია საქართველოში დღემდე მაინც გრძელდება და ის უფრო და უფრო მასშტაბურ სახეს იღებს. ექსპერტები უკვე იმასაც პროგნოზირებენ, რომ მალე ქართული გენოფონდი გადაშენების პირას დადგება და საქართველოში ქართველის დანახვა სანატრელი გახდება. არ ვიცით, ამას რა სახელი დავარქვათ, მსოფლიო პოლიტიკა, თუ ჩვენი უბედურება, თუმცა, ფაქტი ერთია, ტრაგიკული სცენარის წინაშე ვდგავართ, ქართველები საზღვარგარეთ იკრიფებიან, ხოლო ინდოელები, ჩინელები და არაბები ჩვენს მიწებს ისაკუთრებენ და აქ სახლდებიან.

თუ საქართველოში მცხოვრები ქართველები ლუკმის საშოვნელად საკუთარ მიწას ჰყიდიან, ქართველი ემიგრანტები უცხოეთში მუშაობენ იმისთვის, რომ ქართული მიწა და ვენახები შეიძინონ.

იშვიათია ემიგრანტი, ვინც საქართველოდან საფრანგეთში ახალგაზრდული ინტერესის გამო წავიდა, თუმცა, მაშინ არც ფიქრობდა, რომ ემიგრაციაში ცხოვრება სამშობლოს ბედზე დააფიქრებდა. იმდენად იყივლა მასში ქართულმა სისხლმა, რომ იქ ნაშოვნი ორიოდე გროშით საქართველოში ვენახი იყიდა და შორეული ქვეყნიდან აქ, პატრონის მომლოდინე ვაზს ეფერება. თუმცა, ცხადია, ასე მხოლოდ გამონაკლისები ფიქრობენ.

ილია მეხრიშვილი სწორედ ასეთ ახალგაზრდათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც საფრანგეთში ემიგრაციის პირობებში 13 წელია ცხოვრობს და იქ ნაშოვნი ფულით ორიოდე წლის წინ საქართველოში ვენახი შეიძინა. იგი ერთ-ერთი იმათგანი აღმოჩნდა, ვინც საქართველოში დაბრუნებას ფიქრობს და ამ დაბრუნების პირველ ნიშად ქართული ვაზის გაშენება დაისახა მიზნად. დიახ, საფრანგეთში მცხოვრებმა, საფრანგეთში დაოჯახებულ-დაწვრილშვილებულმა ახალგაზრდა კაცმა სოფელ ძველანაგაში ვენახები შეიძინა, ისე, რომ შორიდან ეფერება თავის მიწა-წყალზე მოყვანილ ვაზს.

პატარა ადამიანი დიდი გულით და დიდი მიზნებით, ასე აღვიქვი მოგვარე, რომლის ოცნებამ ისე აღმაფრთოვანა, რომ მინდა, თქვენც გაგაცნოთ იგი. ადამიანი, რომელიც ემიგრაციაში მყოფი ყოველდღიურად ქართულ ვაზს ეფერება.

„ოცნების ხედი, ჩემი ბაჰამის კუნძულები“-ასე დაასათაურა ილიამ ამას წინათ თავისი პოსტი, რომელსაც მისი ვენახის ულამაზესი ფოტო ახლავს თან. იშვიათია საქართველოზე, ქართულ მიწა-წყალზე და ქართულ ვაზზე შეყვარებული ადამიანი, რომელიც საფრანგეთიდან გამუდმებით ეტრფის და მოილტვის საქართველოსკენ. მისი ოცნებაც ამ მიწაზე დაბრუნებაა.

– ილია, შენ საფრანგეთში ცხოვრობ, ბევრია მანდ ქართველი ემიგრანტი და რას ფიქრობენ ისინი საქართველოზე?

– ემიგრანტი ქართველი აქ ნამდვილად ბევრია, მაგრამ იმას ნაკლები ცდილობს, თავის ოჯახს და ქვეყანას რამე შემატონ, თავისი თავისთვის ცხოვრობენ. უკვე წამოვიდა ის კატეგორია, ვინც ხელი ჩაიქნია საქართველოზე და აქ სახლდება, მრავალწლიანი კრედიტებით სახლებს ყიდულობენ, სულ რაღაც 80 კვადრატისთვის მთელ ცხოვრებას მონური შრომისთვის თმობენ, როდესაც საქართველოში სამი იმხელა სახლები აქვთ.

– თუ ასეა, შენ შენი მიზნებით გამორჩეული ყოფილხარ მათგან, რაში მდგომარეობს ეს?

– მე პატარა სახლში ცხოვრებას და მონურად შრომას, ჩემი იალაღები და ჩემი ქვეყანა მირჩევნია. აი, იმ სურათს შეხედე სოციალურ ქსელში რომ დავდე, ყველაფერია ნათქვამი. ცა, მიწა, ვაზი, ალაზნის ველი და კავკასიონი, მაგაზე მეტი რაღა უნდა ინატროს ქართველმა? ბევრ ადგილას ვარ ნამყოფი, მაგრამ ოზაანში რომ არის ცა ვარსკვლავებით მოჭედილი, არსად მინახავს ...

– რამდენად მძიმეა მანდ ფიზიკური შრომა, თავის დამკვიდრება?

- შრომას რაც შეხება, უნდა იშრომო ადამიანმა, აბა რა?! უფალმა ბრძანა, ოფლითა შენითაო მოიპოვე სარჩო შენიო. ქართველების პრობლემა სიზარმაცეა. ოზაანში ერთს მივწერე, ვიცოდი, რომ დადიოდა საქმეებზე, მოიტა, ჩემს ბაღჩას გადახედე, ნახე რამდენი ხანი მოუნდები და მითხარი, რა დამიჯდება დასუფთავება, გადაგიხდიმეთქი და იცი რა მითხრა?-ჩემი ბაღჩის დასუფთავება მეზარებოდა და საქათმედ გადავაკეთე, შენი როგორ დავასუფთავოო. გამიკვირდა, სოფელში რომ ბაღჩას ვერ დაბარავ, ეს ნიშნავს, რომ არც მწვანილი გაქვს, არც პომიდორი და არაფერი. ეგეთი კაცი გაყიდის მიწას, აბა რას იზამს?! რატომ დაივიწყა ქართველმა კაცმა შრომა და მიწასთან მუშაობა, ეგაა საკითხავი, თორემ, მე ისეთი არაფერი გამიკეთებია, უბრალოდ, ჩემი მიწა-წყალი და წინაპრები მიყვარს, ამიტომ შევიძინე ვენახები მეზობელ სოფელში.

– და ამ ყველაფრის პარალელურად, შენ საფრანგეთში გძინავს და აქ ოზაანის მიწის ნაკვეთის დასუფთავების დარდი გაქვს, მაშინ, როდესაც აქ ხალხი დილით ერთ სკამზე ბირჟაობს, შუადღეს -მეორეზე და საღამოს მესამეზე ადგილმონაცვლეობს, იმის მიხედვით, თუ სად უკეთესი ჩრდილია?

–სიზარმაცე ერთ-ერთი ფაქტორია იმის, რომ ჩვენი ქვეყანა იძირება ეკონომიურად. ადამიანები საკუთარ სახლს მოალამაზებენ და გარეთ ერთ მეტრს აღარ გაიხედავენ. იქ, გარეთ სხვა დადის და იმ სხვისთვის რად მოვასუფთავოო, ასე ჩაიძირა საქართველო ნაგავში, რასაც მალე ბევრი დაავადებაც მოჰყვება და მერე იტყვიან, ეს ჩვენ რად დაგვემართაო. ქვეყანა იგივე სახლია და მის მოვლა- პატრონობაზე ყველამ ერთად უნდა იზრუნოს. არც ესაა კარგი, გავლენიანი ხალხი რომ თავის სასარგებლოდ იკეთებენ საქმეს და უბრალო ხალხისთვის კი ყველაფერს სხვა ფასი ადევს. ხალხსაც გაებრაზება და გაბოროტდებიან, ვერც გაამტყუნებ.

– რამ განაპირობა და როდის გაჩნდა იდეა, რომ საფრანგეთიდან საქართველოში ვენახები შეგეძინა?

– ენერგია რაღაცაზე ხომ უნდა დამეხარჯა, უცხო ქვეყნისთვის თავის შეწირვას, ბარემ ჩემისთვის მიმეხედა, თან სანამ კიდევ რაღაცა შეიძლება, თორემ, ხომ ნახე, უცხოელების მიწის ყიდვამ გააოცმაგა ფასები. სულ მინდოდა საქართველოში რაღაცის გაკეთება, მაგრამ ვაზის თემამ უფრო სხვანაირად დამანახა ცხოვრება. ვაზი ყოფილა ყველაფერი, ქართველი კაცის აწმყოც და მომავალიც და ასე დავუკავშირე მომავალი მიწას და ვაზს. ვენახი ძველ ანაგაში შევიძინე და მასთან ერთად ძვირფასი ხალხი, ვისგანაც ვიყიდე, ამ ხალხის ისტორიაც ცალკე ტრაგედიაა და, ალბათ, მიზეზიც, თუ რატომ ყიდის გლეხი უცხოელზე მიწას ...

– თავდაპირველად, რა იყო მიზეზი იმისა, რომ თქვენ საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტეთ?

– მე წავედი იმიტომ, რომ მანდ უიმედობა იყო და მინდოდა მენახა, ქვეყანაზე რა ხდებოდა...

– ილია, შენ აქ ისეთი საქმე წამოიწყე, რომ აღარც გეკითხები, დაბრუნდები თუ არა.

– კი, რა თქმა უნდა, ვაპირებ წამოსვლას, მაგრამ, ჯერ ეგ მეურნეობა უნდა გავმართო და პატარა შემოსავლის წყაროდ ვაქციო. დარჩენას რაც შეეხება, რატომ უნდა დავრჩე სხვა ქვეყანაში, რა, ნაკლები ქვეყანა გვაქვს? გალამაზება უნდა და გავალამაზებთ. უფესვოდ ხე ფეხზე ვერ იდგება და კაცი როგორ უნდა დადგეს. ჩვენი წარსული ჩვენი საძირკველია და თუ ის დავივიწყეთ, ღმერთი არ გვაპატიებს.

– ვიცი, რომ გყავს ოჯახი, მეუღლე, შვილები, რამდენი წლის ხართ თქვენ და იქნებ გაგვაცნოთ ოჯახი?

– 30 წლის ვარ. 18 წლის წამოვედი საქართველოდან, მანდ გაჭირვებული წლების გამო, არც მიცდია ჩაბარება სასწავლებელში, აქ ორწლიანი პროფსასწავლებელი დავამთავრე, რომ ხელობა მესწავლა. სხვათაშორის, კარგად ვიყენებ ჩემს აქაურ პროფესიას და მაქვს მუდმივი სამუშაოც. ოჯახურ მდგომარეობას რაც შეეხება, მყავს მეუღლე მარიამი და ორი გოგო, უფროსი- 7 წლის ანამარია და 2 წლის თინათინი.

– თქვენი სამომავლო გეგმები მეღვინეობას უკავშირდება?

– მეღვინეობა უფრო სამომავლო საქმეა, მევენახეობის ლოგიკური გაგრძელება, თუმცა, მანამდე 5 ჰექტარზე კიდევ ვაპირებ ვენახის გაშენებას, წელს თუ ხელი არ შემეშალა, 3 ჰა-ზე ვგეგმავ ვაზის გაშენებას, შემდეგ თუ სიკეთე იქნა, კიდევ ორზე.

– ეს ყველაფერი აქ შენს გარეშე ხორციელდება და როგორ ართმევ ყოველივეს თავს?

– კი, მყავს ხალხი, რომელიც ამას ხელმძღვანელობს, მე მხოლოდ საჭირო ფულს ვუგზავნი აქედან. მადლობა უფალს, ასეთი ადამიანები რომ მეგულებიან.

– სიკეთეს და ყველა საქმეში ხელის მომართვას გისურვებ, ილია, ყველა შენი წამოწყებული საქმის გამართლებას და ემიგრანტობის ტკივილის შემსუბუქებას.

ლალი მეხრიშვილი

ახალი სიტყვა მუსიკაში

12 ივლისს მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელშეწყობითა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ორგანიზებით, გაიმართა კულტურის სახლთან არსებული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლ- ,,აისელების” სოლო კონცერტი (ანსამბლის ხელმძღვანელები ბესიკ ჩიტორელიძე, მღვდელ-მონაზონი მამა პანტელეიმონი). კონცერტი, რომელიც გრანდიოზულ ხასიათს ატარებდა, კულტურის სახლის წინ მდებარე ეზოში, ღია ცის ქვეშ გაიმართა. ეს გახლდათ ახალი სიტყვა დედოფლისწყაროს მუსიკალურ სივრცეში და საკმაოდ სერიოზული განაცხადი ჩვენი რაიონის ახალგაზრდა შემოქმედთა მხრიდან. აღმოჩნდა, რომ ლამაზი ჟღერადობა შეიძინა ქიზიყური ფოლკლორის და თანამედროვე კლასიკის შერწყმამ და სწორმა მუსიკალურმა ხედვამ. საღამოზე ერთდროულად იყო პრეზენტირებული აკორდეონის, ელექტროგიტარის, „იამახის“, დასარტყამი ინსტრუმენტების, ფანდურის, კლასიკური გიტარის, დოლის და ვიოლინოს კომპლექსური ხმების ჰარმონია, რაც ანსამბლის ორწლიანი კოლოსალური შრომის შედეგი გახლდათ. იმის გამო, რომ კონცერტი ღია ცის ქვეშ ჩატარდა, ის საკმაოდ ფართო მასშტაბს იძენდა და აქედან გამომდინარე, კულტსახლის ეზოში საკმაოდ ბევრმა დედოფლისწყაროელმა მოიყარა თავი.

კონცერტში მონაწილეობა მიიღო ზესტაფონის ფოლკლორულმა ანსამბლმა „მარგვეთი”. ისინი რამოდენიმე სიმღერით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე.

კონცერტზე შესრულდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის სიმღერები. ახალგაზრდებს მხურვალე აპლოდისმენტებით აჯილდოებდა მაყურებელი. ღონისძიებაზე სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა საინგილოს ფოლკლორული ანსამბლი ,,ჰერულა”.

დასასრულს, მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მიულოცა ანსამბლს წარმატებული გამოსვლა და იმ ახალგაზრდებს გადასცა სიგელები, რომლებმაც წელს დაამთავრეს საჯარო სკოლა და ტოვებენ ანსამბლს, თუმცა, მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების აღორძინების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ნონა ჯიბღაშვილმა მადლობა გადაუხადა ასნამბლის თითოეულ წევრს, მათ ხელმძღვანელს, ცენტრის თანამშრომლებს, იმ დაუღალავი შრომისათვის, რისი შედეგიც იხილა მაყურებელმა.

კონცერტს ესწრებოდნენ: პარლამენტის სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოს, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობა.

ლალი მეხრიშვილი

ინკლუზიური სწავლება — შედეგები და გამოწვევები

ახალი სასწავლო წლიდან საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების ახალი მეთოდოლოგია დაინერგება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის განკუთვნილი ინკლუზიური სწავლების შედეგების შეჯამება გაიმართა კახეთში. დედოფლისწყაროში რეგიონულ კონფერენციას პროგრამაში ჩართული სიღნაღი-დედოფლისწყაროს საჯარო სკოლების წარმომადგენლები და მოსწავლეთა მშობლები ესწრებოდნენ. თითოეული სკოლის შედეგები ინდივიდუალურად განიხილეს და ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს.

საანგარიშო კონფერენცია დედოფლისწყაროში ორი წლის წინაც ჩატარდა. სსსმ მოსწავლეთა საჯარო სკოლებში ინტეგრირება განათლების სამინისტრომ 2014 წლიდან დაიწყო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების სამმართველოში აღნიშნავენ, რომ ინკლუზიური განათლების სერვისი ყოველწლიურად უფრო მეტ სკოლაში ინერგება.ამ დროისთვის პროგრამაში ქვეყნის მასშტაბით 7 000 მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეა ჩართული და მათ 1 500 სპეციპედაგოგი ემსახურება. აქედან დედოფლისწყაროშია – 66.

მოსწავლეთა „მშობლები“ გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას პროგრამის დადებით მხარეებზე ამახვილებენ ყურადღებას და ამბობენ, რომ მათი შვილების ფიზიკური მონაცემები ბოლო ხანს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და გაცილებით კონტაქტურები გახდნენ. დედოფლისწყაროში მცხოვრები **ციალა თეთრაძე** ერთერთია იმ მშობლებს შორის, რომელიც თვლის, რომ განათლების სამინისტროს მიერ დანერგილი პროგრამა საუკეთესოა და ის მათი შვილების განვითარებაში სრულიად უსასყიდლოდ ეხმარება.

„ლანა 9 წლისაა, დაუნის სინდრომით დაიბადა, ძალიან ჩაკეტილი იყო, არ აქტიურობდა. შემდეგ გავიგე ინკლუზიური განათლების შესახებ და ამ პროგრამაში ჩავერთეთ. მას შემდეგ ჩემი შვილი ძალიან შეიცვალა. შესანიშნავი პედაგოგები გვყავს, რომლებიც ძალიან გვეხმარებიან მის აღზრდასა და განვითარებაში. ლანას ტყუპისცალი ძმაც ძალიან დაგვეხმარა, ძირითადად მისგან ისწავლა თამაშის წესები და მეტყველება. ამ პროგრამის შედეგებს რომ ვაკვირდები, საგრძნობლად შეცვლილია. ხატავს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ხელგარჯილობის წრეზე დადის, ხშირად იმართება მისი გამოფენები, რაც დიდი სიხარული და სტიმულია, როგორც თავად ლანასთვის, ასევე ჩვენთვის. ეს პროექტი რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, რა გვეშველებოდა, თუმცა, ფაქტია, რომ ბევრად განუვითარებელი დარჩებოდა და ვერ შევძლებდით მის საზოგადოებაში ინტეგრაციას და უნარების გაუმჯობესებას. ასეთი წარმატებები ქალბატონ ირინა ფიროსმანაშვილის დამსახურებაა, რომელმაც ხაზების მეშვეობით ასწავლა ხატვა, ფიგურების ცნობა, ანბანი და მეტყველება. სპეციალური მიდგომები ჰქონდა და ამ მასწავლებლის ძალიან მადლობელი ვარ. ასევე ჩვენი სკოლის დირექტორის მხრიდან დიდი ხელშეწყობაა. სპეციალური რესურსოთახი მოაწყეს სკოლაში, რომელიც საჭირო ნივთებითა და ინვენტარით საუკეთესოდაა მოწყობილი. სკოლამ ისეთი ნივთები შეიძინა, რომელიც ლანას განვითარებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო და შედეგიც მივიღეთ. ეს პროგრამა რომ არ ყოფილიყო, ამ ყველაფრის უზრუნველყოფას ოჯახი ვერ მოახერხებდა და განვითარების ამ დონეს ვერ მივაღწევდით. ამიტომაც დიდი მხარდაჭერა და თანადგომაა ჩვენთვის, მითუმეტეს, რომ ეს ყველაფერი უსასყიდლოდ მივიღეთ და არცერთი თეთრი არ დაგვხარჯვია ამ პროცესში. კიდევ ერთ მასწავლებელზე – დოდო ხუციშვილზე მინდა აღვნიშნო, ისიც საოცარი მონდომებითა და დიდი სიყვარულით ურთიერთობს ბავშვებთან. კლასელებს ძალიან შეაყვარა ლანამ თავი და უნდა ითქვას, რომ არ არჩევენ სხვა თანატოლებისგან. მის გარეშე არ თამაშობენ და ცდილობენ, ერთად იყვნენ და ყველაფერში ჩართონ. დღეს ჩემი შვილი მხოლოდ ინკლუზიურ კაბინეტში არ დადის, ის ყოველდღიურად ესწრება გაკვეთილებსაც. ყველანაირად შეიცვალა, ამიტომაც მე ძალიან ბედნიერი ვარ, ამ მცირე დროში მიღწეული დიდი შედეგით,“ — აღნიშნავს მშობელი ციალა თეთრაძე.

კონფერენციაზე მოხსენება წარმოადგინა ოზაანის საჯარო სკოლის სპეციპედაგოგმა ხათუნა ხოსიტაშვილმა. მან მონაწილეებს მათი სკოლის სსსმ მოსწავლეების მონაცემები გააცნო და მიღწეულ შედეგებზე გაამახვილა ყურადღება.

ხათუნა ხოსიტაშვილი *(ოზაანის სკოლის სპეციპედაგოგი):* „ოზაანის საჯარო სკოლაში სპეციპედაგოგად მუშაობა ორი წლის წინ დავიწყე, ამ დროისთვის სამი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე გვყავს. უკვე გვაქვს სერიოზული შედეგები. სხვადასხვა დარღვევის ბავშვები გვყავს, რომელთაც აქვთ გონებრივი და მეტყველების პრობლემები. უკვე მივაღწიეთ იმ მიზნებს, რაც თავიდან დავისახეთ. შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამაკმაყოფილებელ შედეგზე გავედით. თუ თავდაპირველად მათ წერა-კითხვა არ იცოდნენ, ამჯერად უკვე აქვთ გარკვეული მიღწევები აკადემიური უნარების განვითარებაში. სკოლის შენობაში საუკეთესოდ მოწყობილი რესურსოთახი გვაქვს, რომელიც საჭირო გარემოს ქმნის სსსმ მოსწავლეთა განვითარებისთვის. ჩვენც დიდი ენთუზიაზმით ვმუშაობთ მათთან და შედეგიც არ აყოვნებს“.

განათლების სამინისტროს წარმომადგენლები განმარტავენ, რომ მათთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია ამგვარი კონფერენციები რეგიონებში ტარდებოდეს, რადგან მუდმივად ადგილზე მოხდეს ყველა მიღწევის, გამოწვევისა თუ პრობლემის განხილვა. ამიტომაც ტრადიციად დამკვიდრდა დედაქალაქის ნაცვლად ამგვარი კონფერენციები რაიონებში შედგეს. ამასთან, სამინისტროს მიდგომაა სსსმ ბავშვების ინტეგრაციის პროცესი ჩვეულებრივ საჯარო სკოლაში მიმდინარეობდეს, ვიდრე განცალკევებით. უწყება ასე გაცილებით უფრო დიდ ეფექტს ელის და მიიჩნევს, რომ სსსმ ბავშვები განათლებას ჯანმრთელი მოსწავლეების გვერდით უნდა იღებდნენ.

ეკა დგებუაძე *(განათლების სამინისტროს ინკლუზიური განათლების სამმართველოს უფროსი):* „ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ტრადიციად გვაქვს, რომ კახეთის რეგიონულ კონფერენციებს ვმართავთ და შედეგებს ვაჯამებთ. სპეციპედაგოგები წარმოადგენენ კონკრეტულ მაგალითებს, მოსწავლეთა მდგომარეობას და გვიზიარებენ იმ გამოწვევებს, რომლებიც სისტემაში არსებობს. ასე ღიად ვმსჯელობთ, რადგან ჩვენი სურვილია, ერთმანეთს გავუზიაროთ როგორც მიღწევები, ისე ხარვეზები და ერთად ვიზრუნოთ შედეგების გაუმჯობესებასა და კიდევ უფრო დახვეწაზე. ვფიქრობთ, ეს ფორმატი უფრო წარმატებული იქნება. ჩვენი მიზანია, ყოველთვის ადგილზე გავეცნოთ და სამომავლოდ ხელი შევუწყოთ ინკლუზიური სწავლების კიდევ უფრო განვითარებას. რაც შეეხება განათლების სამინისტროს მხარდაჭერას, მომავალი სასწავლო წლიდან ვგეგმავთ ინკლუზიური სწავლების ახალი მეთოდოლოგია დავნერგოთ, ეს ინფორმაცია თითოეულ სკოლას და მასწავლებელს მიეწოდება. პარალელურად მიმდინარეობს მონიტორინგის პროცესი თითოეულ სკოლაში, რომლის შედეგები წლის ბოლოს გვექნება. მომავალ წელს ასეთი კონფერენციის ჩატარება უკვე თელავში იგეგმება“.

თამარ ტუხაშვილი *(კახეთის მულტიდისციპლინური გუნდის წევრი):* „წელს შევეცადეთ კონფერენცია წინა წლებისგან განსხვავებული ფორმატით ჩაგვეტარებინა და დღის წესრიგში შევიტანეთ მოსწავლეთა მშობლების დასწრება და მათი მოხსენებით გამოსვლა. გასულ წლებში უფრო მეტად სპეციპედაგოგების მონაწილეობაზე ორიენტირებულნი ვიყავით და ახლა საშუალება მივეცით მშობლებსაც გამოეხატათ თავისი პოზიცია. ინკლუზიურ სწავლებას ჩვენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან ერთად ვანხორციელებთ და დედოფლისწყაროშიც ასეა, ადგილობრივ ხელისუფლებასა თუ სხვა არაერთ ადამიანთან მჭირდოდ ვთანამშრომლობთ. ზოგადად უნდა ითქვას, რომ სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონები ძალზე აქტიურად თანამშრომლობენ სამინისტროსთან და მაქსიმალურად არიან ჩართულნი ამ პროცესში. ბუნებრივია, კონფერენციაზეც აღინიშნა, რომ ეს არ არის იდეალური შედეგი, რაც მიზნად გვაქვს დასახული, თუმცა, აშკარაა, რომ თითოეულ სკოლაში დიდი მოტივაციაა, რომ ვითარება კიდევ უფრო გაუმჯობესდეს და ეს ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. იზრდება პროგრამაში ჩართული სკოლების და მოსწავლეთა ოდენობაც. დედოფლისწყაროდანაც კიდევ არის შემოსული მოთხოვნა, მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში თითოეული მოსწავლის მდგომარეობა შეფასდება, ჯგუფი შეისწავლის მათ მონაცემებს და ამის მიხედვით დაკმაყოფილდება მოთხოვნა“.

ეთერ ზურიკაშვილი *(დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი):* „წელს ერთი სკოლა კიდევ დაემატება. ქვემო ქედის საჯარო სკოლიდან არის მოთხოვნა შემოსული, შეფასება მიმდინარეობს და ახალი სასწავლო წლიდან დაკმაყოფილდება მათი განაცხადი. დედოფლისწყაროში 15 სკოლაა, აქედან 14-ში ინკლუზიური სწავლება დანერგილია. ჯამში მუნიციპალიტეტში სულ 66 სსსმ მოსწავლეა რეგისტრირებული. ყველა სკოლაში საუკეთესოდაა მოწყობილი რესურსოთახები. მიმდინარეობს გუნდური მუშაობა, ეს კი თითოეულ მოსწავლეზე დადებითად აისახება. სხვადასხვა აქტივობებს ეუფლებიან და ჩართულნი არიან. თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ ჩვენი მოსწავლეები ჩაერთვნენ მუზეუმში არსებულ ხელგარჯილობის წრეზე, ხელნაკეთი ნივთები დაამზადეს, გამოფინეს და გაყიდეს, რაც ძალიან წარმატებული ნაბიჯი აღმოჩნდა და დიდი სტიმული მიეცათ როგორც თავად მოსწავლეებსა და მათ ოჯახებს, ისე პროექტში ჩართულ პედაგოგებს. დიდი მადლობა უნდა ვითხრათ მუზეუმის თანამშრომლებს მხარდაჭერისა და დახმარებისთვის. ასევე დიდი წვლილი შეიტანა ხორნაბუჯის საჯარო სკოლის სპეციპედაგოგმა ჟანა ბაბაიანცმა. ჟანა მასწავლებლის ინიციატივით, დიდი სურვილი არსებობდა, რომ ინკლუზიურ სწავლებაში ჩართული მოსწავლეებისთვის მოგვეწყო ექსკურსია, რაც მათთვის ძალზე შთამბეჭდავი იქნებოდა და ცნობიერების ამაღლებაში დაეხმარებოდა. პროგრამას ამისათვის საჭირო ფინანსური სახსრები არ აქვს, ამიტომ ამ იდეას ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაუჭირა მხარი. დედოფლისწყაროს გამგეობის დაფინანსებით ისინი მშობლებთან და მასწავლებლებთან ერთად შიომღვიმეში გაემგზავრნენ და ძალიან შედეგიანი აღმოჩნდა, რადგან მთელი დღე ერთად გაატარეს“.

ილია მარტყოფლიშვილი

გადამწვარი ტუმბო-უწყლობის მიზეზი

უკვე რამდენიმე დღეა, სოფელ ფიროსმანის ერთ ნაწილს წყალმომარაგება შეუწყდა, რაც ადგილობრივების უკმაყოფილებას იწვევს. „შირაქი“ დაინტერესდა, რამ გამოიწვია შეფერხება და როდის აღმოიფხვრება პრობლემა. როგორც სოფელში გამგებლის წარმომადგენელი ვალიკო აბაშიძე გაზეთ „შირაქთან“ განმარტავს, მიზეზი წყალსაქაჩის დაზიანებაა. ადგილობრივები ზაფხულის ცხელ დღეებში უწყლოობით გამოწვეულ სირთულეებზე ამახვილებენ ყურადღებას და დახმარებას ითხოვენ. როგორც გაირკვა, ამ სოფლის წყალმომარაგება „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ არ გადასცემია, ამდენად მასზე ზედამხედველობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ახორციელებს.

დედოფლისწყაროს გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ამბობს, რომ პრობლემა უკვე გადაჭრილია და ტენდერი რამდენიმე დღეში დასრულდება.

„11 ივლისს ერთერთ ჭაბურღილზე წყლის ტუმბო გადაიწვა. შედეგად, სოფლის ერთ ნაწილს წყალს ვეღარ ვაწვდით. დაზიანებისთანავე შევუდექით ხარვეზის აღმოფხვრას, ვცდილობთ ოპერატიულად და მაქსიმალურად მოკლე დროში შევძლოთ აღდგენა, რომ დისკომფორტი და გარკვეული პრობლემები თავიდან ავიცილოთ. უკვე გამოცხადებულია ტენდერი, რის შედეგადაც გამარჯვებული კომპანიის ვინაობა 19 ივლისამდე უნდა გაირკვას. მას შემდეგ, რაც გამოვლინდება კომპანია, რამდენიმე დღეში შეგვეძლება შესაბამისმა კომპანიამ ახალი ტუმბოები მოგვაწოდოს და გამოვცვალოთ. ვფიქრობ, ერთი კვირის ვადაში ეს პრობლემა აღმოიფხვრება და ადგილობრივებს სასმელი წყლის პრობლემა აღარ ექნებათ. ვინაიდან ამ სოფელში ტუმბო გასულ წელსაც დაიწვა, ამჯერად თადარიგი დავიჭირეთ და ტენდერი ორ ტუმბოზე გამოვაცხადეთ, რომ საჭიროების შემთხვევაში პრობლემის აღმოფხვრამ დამატებითი დრო არ წაიღოს. მოგეხსენებათ, სატენდერო პირობები ვადებს მოითხოვს და ამას დრო მიაქვს, ეს კი განსაკუთრებით ზაფხულის დღეებში რთული ასატანია. ამჯერად მეორე ტუმბოს შევინახავთ და როცა გადაუდებელი აუცილებლობა იქნება, გამოვცვლით. ამ ტუმბოებით წყალი ცენტრალურ რეზერვუარში იტუმბება, იქიდან კი მოსახლეობასთან თვითდინებით ნაწილდება“.

სოფელს სულ სამი ჭაბურღილი ემსახურება, რომელთაგან ორი ამჟამადაც ჩვეულ რეჟიმში მუშაობს. სოფელში ამბობენ, რომ დანარჩენ უბნებს წყალთან დაკავშირებით პრობლემები არ აქვთ.

„მარნის უბანს ვეძახით, სოფლის მხოლოდ ეს ნაწილი დარჩა უწყლოდ. დაახლოებით 40 კომლი ცხოვრობს ამ დასახლებაში, ძალიან შეწუხებულები მოგვმართავენ, რომ წყალი არ აქვთ. სოფელს სულ სამი ჭაბურღილი ემსახურება, ორი მათგანი ამჟამადაც შეუფერხებლად მუშაობს. მოსახლეობას ვუხსნით, რომ უკვე გამოცხადებულია ტენდერი და ველოდებით ახალი ტუმბოს შეძენას. რაც შეეხება გრაფიკს, მიუხედავად იმისა, რომ ცხელი დღეებია, ყოველდღიურად ვახერხებთ წყლის მიწოდებას. ადრე გაცილებით დიდი პრობლემები იყო სოფლის წყალმომარაგებაში. გასულ წლებში ხან სამ დღეში ერთხელ მოდიოდა, ხან ისიც ვერ ხერხდებოდა. ვითარება 2013 წლის შემდეგ გაუმჯობესდა და ამას თითოეული მოსახლე გრძნობს. ყოველდღიური მიწოდება გვაქვს და სადაც წყლის დებეტი საშუალებას გვაძლევს იმ უბნებში 24 საათიანი მომარაგებაც გვაქვს, რაზეც ადრე ვერც ვიოცნებებდით,“ - აღნიშნავს სოფლის რწმუნებული.

ილია მარტყოფლიშვილი

ლაშა ბექაური – ევროპის ჩემპიონია

„დიდი სიხარული იყო, რომ საქართველოს დროშა ყველაზე მაღლა აწიეს, ქვემოთ კი რუსულ დროშას ვხედავდი“

ლიტვის დედაქალაქ კაუნასში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობა ძიუდოში, სადაც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა. ჭაბუკთა შორის კახეთის რეგიონიდან ორი სპორტსმენი ევროპის ჩემპიონი გახდა. დედოფლისწყაროდან ლაშა ბექაური 73 კგ წონით კატეგორიაში და თელავიდან მიხეილ ბახბახაშვილი 66 კგ. წონით კატეგორიაში.

სოფელ არხილოსკალოში მცხოვრები ლაშა ბექაური 17 წლის მომავალ კვირას გახდება, თუმცა, ხანმოკლე სპორტული კარიერის მიუხედავად მიღწევებით სატრაბახო ნამდვილად ბევრი აქვს. ევროპის ჩემპიონატზეც ნათლად გამოჩნდა, რომ პერსპექტიული ახალგაზრდაა. სხვათაშორის, ამ სოფელში შესაბამისი სავარჯიშო პირობები არასოდეს ყოფილა, მაგრამ ადგილობრივებისთვის ამას ხელი არ შეუშლია წარმატებების დიდი მწვერვალები დაეპყროთ. ამაში დასარწმუნებლად და ევროპის ჩემპიონატის დეტალებზე სასაუბროდ გაზეთი „შირაქი“ თავად ჩემპიონს და მის მწვრთნელს შეხვდა.

კახა წიკლაური *(მწვრთნელი)*: „ეს იყო ევროპის პირველობა ჭაბუკთა შორის და ლაშამ ძალიან გვასახელა. პირველ რიგში მინდა მივულოცო მის ოჯახს, მშობლებს, უფრო დიდი წარმატებებით გაეხარებინოს ყველა ჩვენგანი. ასევე, ვულოცავ ჩვენს მშობლიურ სოფელს, არხილოსკალოს, სადაც ამ წარმატებით ძალიან ხარობენ და დღემდე ყველა ამაზე საუბრობს. მთელი ქედების ზონა და დედოფლისწყარო ზეიმობს, ყველას მივულოცავ, მათ შორის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს და სპორტის სამსახურს, რომელიც ძალიან გვგულშემატკივრობდა.

– რა მნიშვნელობის ჩემპიონატი იყო და რა მოლოდინი გქონდათ?

– ძიუდო ძალიან პოპულარული სპორტია, აქედან გამომდინარე დიდი კონკურენცია აქვს. მითუმეტეს ევროპის ჩემპიონატი იყო, კონტინენტის პირველობაზე თითქმის ყველა ქვეყანა იღებდა მონაწილეობას და საუკეთესო სპორტსმენები იყვნენ წარმოდგენილნი. ამ უაღრესად დაძაბულ ბრძოლებში ჩვენმა სპორტსმენმა, ღირსეულად გაართვა თავი, ლაშამ ყველა შეხვედრა აშკარა უპირატესობით დაასრულა და პირველი ადგილი დაიკავა. ამის მოლოდინი ნამდვილად მქონდა. იყო დაძაბული შეხვედრები, განსაკუთრებით გამოვყოფ რუს მოწინააღმდეგეს, მას ჰქონდა განწყობა, რომ ლაშას დაამარცხებდა, მაგრამ ვერ შეძლო.

– რამდენად მზად იყო ლაშა ამხელა ასპარეზისთვის და როგორ შეაფასებთ მის გამოსვლას?

— ლაშა ძალიან მებრძოლი ხასიათის სპორტსმენია. ბავშვობიდან ასე იყო. ყველანაირ სირთულეს სძლევს, არასოდეს ნებდება და არ უჭირს დაბრკოლებების გადალახვა. პირველად 8 წლის ასაკში შემოვიდა ჩემთან და ვარჯიში რომ დაიწყო, მაშინვე გამოირჩეოდა. ძალებს არ ზოგავდა და უბრალო რიგით ვარჯიშზეც კი შეეძლო მთელი ენერგია ჩაედო. პირველივე დღეებში შევატყე, რომ მასში პოტენციალი იყო და იმედიანად ვუყურებდი მის მომავალს. სულ ვეუბნებოდი, თუ ასე გააგრძელებდა, დიდ სპორტს აუცილებლად ეზიარებოდა. მართლაც, ყოველთვის მიჯერებდა და ამ შემართებით მოდის დღემდე. ახლა კი უკვე ვხედავთ მის შედეგს და რეალობაა, რომ დიდ სპორტში ჭიდაობს. ამხელა მნიშვნელობის ჩემპიონატზე პირველი ადგილი დაიკავა, როგორც პირად პირველობაში, ასევე გუნდურ პირველობაში.

– თავიდანვე ჩანს ხოლმე, მომავალში რა შეიძლება გამოვიდეს ამა თუ იმ სპორტსმენისგან?

– კი, რა თქმა უნდა, ლაშას შემთხვევაში მონაცემები თვალშისაცემი იყო. პირველივე შედეგი 10 წლის ასაში, ანუ ვარჯიშის დაწყებიდან მეორე წელს გვაჩვენა. საქართველოს პირველობა გაიმართა ქართულ ჭიდაობაში და ლაშაც გავიყვანეთ და საქართველოს ჩემპიონი გახდა. იქვე გამოჩნდა, რომ დიდი პერსპქტივა ჰქონდა. მომდევნო წელს ძიუდოში ჩატარდა, იქ თავისი ასაკის მეტოქე ვერ მოიძებნა და ამიტომ უფროს მოწინააღმდეგეს შეახვედრეს და იქ მესამე ადგილზე გავიდა, ასევე თავის ასაკში საქართველოს ჩემპიონი გახდა და აქედან მოყოლებული საქართველოს პირველობას თითქმის ყოველწლიურად იგებდა.

ეს არის საწყისი ასაკი, საიდანაც მომზადებას იწყებენ და ჭაბუკთა ნაკრების შევსება ხდება, ამიტომ ამ აკასში ასეთი წარმატება ძალიან მნიშვნელოვანია. მომავალში უკვე დიდების კატეგორიაში გაგრძელებს ბრძოლას და მნიშვნელოვანია რომ ამხელა გამოცდილება შეიძინა. გარდა იმისა, რომ ჩემპიონი გახდა და პირველ ადგილზე გავიდა, ეს უდიდესი გამოცდილებაა, რაც სამომავლოდაც გავლენას იქონიებს.

– ლაშა, რამდენი ორთაბრძოლა გამართე და ემოციებზე გვიამბე, ვინ იყვნენ მეტოქეები?

ლაშა ბექაური: „ძალიან ძლიერი შეჯიბრი იყო, მთელი კონტინენტი მონაწილეობდა და სასურველი შედეგის მიღწევა ყველა მათგანს უნდოდა. ამჯერად სულ ხუთი შეჯიბრის ჩატარება მომიწია. ხუთივეში წარმატებით ვიასპარეზე. პირველი შეხვედრა პოლონელ ძიუდოისტთან მქონდა, შემდეგ ისრაელიდან, შემდეგ რუსს შევხვდი, ფინალში გადასასვლელად თურქ მეტოქესთან მომიწია შერკინება, ხოლო ფინალში უკვე იტალიელ ძიუდოისტთან ვიჭიდავე. რა თქმა უნდა, გამიჭირდა, რადგან გამარჯვება ყველას უნდა, მაგრამ რამდენად გამოგივა, ესაა მთავარი. ყველა იბრძვის ბოლომდე. ძალიან დიდი ბედნიერებაა ჩემთვის, რომ გამარჯვება შევძელი, ამხელა წარმატებას მივაღწიე. ბედნიერი ვარ იმით, რომ ოჯახი და ჩემი ქვეყანა ვასახელე. ჩემი დედოფლისწყარო და არხილოსკალო რომ გავახარე. სასიამოვნოა, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი ქვეყნის საზღვრებს გარეთ გამაქვს და საქართველოს სახელით წარმატება მომაქვს. უცხო ქვეყანაში ჩემი დამსახურებით ჩვენი ქვეყნის ჰიმნი რომ აჟღერდება, ეს საამაყოა ჩემთვის. ცხოვრებაში ასეთ დიდ ჩემპიონატზე პირველად ვმონაწილეობდი, ამხელა წარმატებას პირველად მივაღწიე და ასეთი ბედნიერი მართლა არასოდეს ვყოფილვარ.

– გქონდა მიზნად, რომ ევროპის, ან მსოფლიო ჩემპიონატებზე გასულიყავი?

– რა თქმა უნდა, ბავშვობაშიც მიფიქრია ამაზე. კახა მასწავლებელი მუდმივად ისე გვესაუბრებოდა ამ წარმატებებზე, რომ შეუძლებელია, არ შემყვარებოდა და დაუოკებელი სურვილი არ გამჩენოდა. ნაკრებთან ერთად გავიარე შეკრებები და მზადება. მათთან ერთად მოვემზადე ამ ასპარეზობისთვის. სპეციალურ რეჟიმში ვიყავი, ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯებოდი და, ღმერთის წყალობით, შრომა დამიფასდა. ამჯერადაც თბილისში ვაგრძელებ ვარჯიშს.

– ვიცი, რომ სხვა წარმატებებიც გქონდა...

– რუსეთის ქალაქ ტულაში ჩატარდა ევროპის თასი, სადაც გავიმარჯვე, შემდეგ პოლონეთში ჩატარდა ჩემპიონატი, იქაც ჩემპიონი გავხდი. რომ ვიხსენებ, ჩემთვის ყველაზე ემოციური მაინც რუსეთში გამოსვლა იყო. ცნობილია რუსეთის დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანასთან და ამიტომ გამორჩეული დამოკიდებულება მქონდა იქ გასამართ ბრძოლებთან. რუს ძიუდოისტს შევხვდი ფინალში. შეხვედრას თითქმის ვაგებდი, ბოლო წამებში ენერგიის მოზღვავება ვიგრძენი, მოვახერხე ვითარების სასიკეთოდ შემობრუნება და საბოლოოდ ბეჭებზე დავდე. დიდი სიხარული იყო ის, რომ პირველ ადგილზე გავედი და საქართველოს დროშა რუსეთის მიწაზე ყველაზე მაღლა აწიეს, პირველი ადგილი მიუჩინეს და მის ქვემოთ მათ დროშებს ვხედავდი.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს პირად მწვრთნელებს, როგორც კახა წიკლაურს, ისე ლექსო ღვინიაშვილს. ძალიან გვერდით მიდგანან და კარიერის განვითარებაში ხელს მიწყობენ. სოფელში პირველ დღეებს რომ ვიხსენებ, არანაირი ინვენტარი არ გვქონდა და ჩვენით ვახერხებდით რაღაც დეტალების გამოგონებას და შექმნას. ახლა ვითარება შეცვლილია და შედარებით გაუმჯობესება იგრძნობა.

კახა წიკლაური: „სოფელში არანაირი ინფრასტრუქტურა და შენობა არ იყო. ძალიან რთული გზა გავიარეთ. სოფლ-სოფელ ვიარე, თითო ლეიბი შევაგროვე, ვის არ ვთხოვე, რომ ელემენტარული პირობები შეგვექმნა. სკოლის ერთ პატარა ოთახს შევეკედლეთ და ასე დავიწყეთ ვარჯიში. მეც ენთუზიაზმზე და სპორტის სიყვარულით ვწვალობდი და ბავშვებიც მომდევდნენ. პირობების არარსებობის მიუხედავად შედეგები ყოველთვის თვალშისაცემი იყო, რამაც ჩვენი ენთუზიაზმი გაამძაფრა და მეტი შემართება გვქონდა. თოკიც არ გვქონდა, რომ სპორტსმენს ევარჯიშა, არც ინვენტარი იყო, რომ ბავშვებს დატვირთვა მიეღოთ. ძველი ლეიბები გვქონდა და ასე ვვარჯიშობდით. ძალიან უყურადღებოდ ვიყავით ხელისუფლების მხრიდანაც და ბიზნესისგანაც, არავითარი დახმარება არ მიგვიღია. ადგილობრივ ხელისუფლებასთან ხშირად დავაყენე ჩვენი მდგომარეობა, იყო დაპირებები, მაგრამ წლების მანძილზე მხოლოდ დაპირებებად რჩებოდა.

– ახლა რა ვითარებაა, თუ გაუმჯობესდა თქვენი პირობები?

– მხოლოდ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ დაიწყო პირობების შექმნა. უამრავი წარმატებული სპორტსმენი ჰყავდა ჩვენს სოფელს, მაგრამ არ არსებობდა სივრცე, სადაც შევძლებდით ასპარეზობა ჩაგვეტარებინა და ვინმესთვის გვეჩვენებინა, ან სხვა რაიონებისთვის გვემასპინძლა. შემდეგ 2014 წელს „ქართუ ჯგუფმა“ საჩუქრად გადმოგვცა საჭიდაო არენა, ლითონის ასაწყობი კონსტრუქცია, რომელიც სოფლის ცენტრში დავამონტაჟეთ და მშვენიერი სივრცე მივიღეთ საიმისოდ, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა ბრძოლები გამართონ. რამდენიმე სერიოზულ ტურნირს უკვე უმასპინძლა ამ არენამ. დღეს უკვე ნებისმიერ დროს გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ადგილზე ჩავატაროთ შეჯიბრებები და ხშირადაც ვმართავთ. თავდაპირველად ხელფასიც არ მქონდა და ჩემი სოფლის და სპორტის სიყვარულით ვიმუშავე. დღეს ხელფასიც დამენიშნა, სპორტის სამსახური შეძლებისდაგვარად ყველანაირად გვეხმარება. ასეა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაც.

– ისევ სკოლის შენობას აფარებთ თავს, თუ სხვაგან ვარჯიშობთ?

– რაც შეეხება ყოველდღიურ სამუშაო გარემოს, სკოლის შენობაში ის ოთახი ისევ გვაქვს, მაგრამ არ არის შესაფერისი გარემო. როდესაც ეს პრობლემა ახალ ხელისუფლებასთან დავაყენე, გადაწყდა, რომ ზემო ქედში მდებარე სტანდარტულ დარბაზში გაცილებით კარგი პირობებია და სამივე სოფელმა იმ დარბაზით ვისარგებლოთ, რაც უფრო ხელსაყრელი იქნება და დადებით შედეგსაც გამოიღებს. ერთადერთ პრობლემად ყოველდღიური ტრანსპორტირება რჩებოდა და მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დააფინანსა ისიც, რომ ყოველდღიურად გვქონდეს მგზავრობის ხარჯი. კვირაში ოთხჯერ მივდივართ და ვარჯიშებს ვატარებთ. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ ტატამზე ვერ ვეტევით და იმედი გვაქვს ესეც გადაიჭრება. კიდევ ერთი პრობლემა დარჩა ზამთარში დარბაზის გათბობის საკითხი, ამის თაობაზე ჩვენი დეპუტატი, ირაკლი შიოლაშვილი დაინტერესდა, გვესტუმრა, ადგილზე ნახა პრობლემა და დაიგეგმა, რომ ზამთრისთვის გათბობა

გაკეთდება.

– სამომავლო გეგმების და ისევ ლაშას შესახებ მინდა გკითხოთ, რა მოლოდინი და გეგმები გაქვთ?

– ლაშა ძალიან მშრომელი, მონდომებული ახალგაზრდაა და შემართებით ემზადება. სამომავლოდ მსოფლიოს პირველობაზეც მოსინჯავს ძალებს.

(დასასრული გვ.8)

შირაქის სკივრი

1960 წლის ივლისი

○ არბოშიკის მცხოვრებლებს მიშმისის ტყიდან მგლები შეეჩვიათ და თითქმის ყოველ ღამ ცხვრებს იტაცებენ. კოლმეურნეობის უმცროსი ზოოტექნიკოსი ალექსანდრე ალადაშვილი მონადირეთა საზოგადოების აქტიური წევრია და თავისუფალ დროს ნადირობით ერთობა. ტყის მცველმა მას მგლის ნაკვალევი აჩვენა. ალექსანდრემ გულდასმით შეისწავლა. შემდეგ მგლის ხმით ისე ყმუოდა, რომ ნადირი მოიხმო. პირველ დღეს მოკლა ორი დაგეშილი ლეკვი, ხოლო ხუთი დღის შემდეგ ძუ მგელი და კიდევ მისი ორი ლეკვი. ამრიგად გადაარჩინა საქონელი. მან წითელწყაროს დამზადების კანტორაში მიიტანა ტყავები და მიიღო 2 500 მანეთი, ჯილდო კი 400 მანეთი.

○ იმის მაგივრად რომ არხილოსკალოს მემინდვრეობის ბრიგადირებს იოსებ კობაიძეს და იოსებ წიკლაურს მინდვრებში ემუშავათ, დასხდნენ მანქანაში და ზემო ქედის სასაუზმეში ამოჰყვეს თავი. ჯერ არყებითა და ლუდით შეზარხოშდნენ, შემდეგ კი ნუნუას მიჰყვეს ხელი. ბოთლი ბოთლზე იცლებოდა და ბოლო არ უჩანდა. ამ დროს მათ მოიწვიეს ლევან ბაშარული, მან თავის ანგარიშზე რამდენიმე ბოთლი ღვინო მოითხოვა, რაც მასპინძლებმა იუკადრისეს და შეკამათდნენ, შემდეგ შეაგინეს. ეზოში გავიდნენ და ერთმანეთს ცემა დაუწყეს. ღვინისგან გალეშილმა კობაიძემ დანა იშიშვლა დაედევნა მოწინააღმდეგეს, რომელიც მეუღლესთან ერთად შინ მიდიოდა. ცოლი შეევედრა დამინდეო, მაგრამ სასიკვდილოდ დაჭრა ბაშარული. ამ ალიაქოთში იმის ნაცვლად, რომ გაეშველებინა, დაჭრილს წინლი დაჰკრა ვაჟა ბუთხუზმა, მძიმედ დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს მაგრამ რამდენიმე წუთში გარდაიცვალა. უმაღლესმა სასამართლომ იოსებ კობაიძეს 10 წლით პატიმრობა, ხოლო ბუთხუზს 2 წლით პირობითი სასჯელი მიუსაჯა.

○ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მეფრინველეების რეკორდი, კვერცხმდებელ დედალზე ივნისისთვის საშუალოდ 122 ცალი კვერცხი მიიღეს. არადა წლიური ვალდებულება 140 კვერცხია. მეფრინველეები ამბობენ, რომ წლიურ გეგმას 1 აგვისტოსთვის გადააჭარბებენ.

○ ზემო ქედის ბიბლიოთეკა შესანიშნავ გარემოშია, მდიდარია წიგნადი ფიონდიც, მაგრამ, წელს განსაკუთრებით მოიკოჭლებენ კულტმუშაკები. სისტემატიურად არ ტარდება მკითხველთა კონფერენციები, ლიტ წრეში მხოლოდ ერთხელ ჩაუტარებიათ მეცადინეობა. არც კედლის გაზეთს გამოსცემენ რეგულარულად.

○ თავთავიანი კულტურების აღების პროცესში სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვას ნაკლები ყურადღება ექცევა. რამდენიმე გაფრთხილების მიუხედავად, ადგილზე შემოწმებისას გამოირკვა, რომ ტრაქტორებსა და ავტომანქანებს არ გააჩნიათ ხანძრის ქრობის საშუალებები. არც კომბაინებს აქვთ ცეცხლმაქრი, რაც აქვთ ისიც დაუმუხტავია. არ ჰყავთ მოხალისეთა რაზმეულის უფროსი. წერილის გაზეთში გამოქვეყნების შემდეგ მიიღეს ზომები ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

○ წარმატებას აღწევენ სარეწაო მირზაანის მენავთობეები, მათ ნახევარწლიური დავალება 104,4%-ით შეასრულეს და სახელმწიფო ფონდში შეიტანეს 380 ათასი მანეთი.

○ სტატისტიკის რაიონსპექცია თითქმის ყოველდღე ღებულობს და აგზავნის დეპეშებს, რომელთა მიღება-გადაცემაში დიდ დამახინჯებას უშვებს წითელწყაროს კავშირგაბმულობის რაიკანტორა. 1 და 4 ივნისს გავგზავნეთ დეპეშა, სადაც დაამახინჯეს რიცხვები და დამზადებული პროდუქციის ოდენობა მთლიანად არიეს. უარესი მდგომარეობაა მიღებულ დეპეშებში. ხშირად შინაარსის გამოტანა ჭირს, შემდეგ თბილისში რამდენჯერმე ვრეკავთ, რომ ინფორმაცია დავაზუსტოთ და დეპეშის ღირებულებაზე რამდენჯერმე მეტი დაგვეხარჯა, რომ ზუსტი შინაარსი გაგვეგო.

○ დაბა წითელწყაროში, „ჯარის წყალს“ გასულ წელს ნავი შეუკეთეს, მაგრამ წყაროს 1 მილი ვიღაცამ მოაგლიჯა და წყლის აღება გაჭირდა. მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს და საჭიროა ამ წვრილმანის შეკეთება.

○ „მდინარე იორთან, მინდორ ყარღოს ტერიტორიაზე გაჯის კომბინატმა აღმოაჩინა გაჯის მიწა. ანალიზებით გაირკვა, რომ ეს არის საუკეთესო ხარისხის მიწა. გაჯის კომბინატმა აქედან გამოშვებული პირველი პროდუქცია წითელწყაროს ქართულ საშუალო სკოლას გაუგზავნა. სულ მალე დაიწყება გაჯის მასიური გამოშვება. თვეში 500 ტონას გამოვწვავთ,“ – გვითხრა გაჯის საამქროს უფროსმა დ. შანშიაშვილმა.

1962 წლის ივლისი



○ უკანასკნელ ხანს დაბა წითელწყარო მნიშვნელოვნად ლამაზდება. ცენტრალურ ნაწილში მას რუსთაველის ქუჩაზე ქართული საშუალო სკოლის ახალი ოთხსართული იანი შენობა შეემატა. აქ უფრო მეტი სივრცეა მოსწავლეთა განათლებისთვის.

○ საღამო იყო, როცა არხილოსკალოში ივანე ბუჩუკურის სახლის ბუხრიდან ჯერ კვამლი, შემდეგ კი ცეცხლის ალი ავარდა. შენიშნა ქუჩაში მიმავალმა მეხუთე კლასის მოსწავლემ ა. კობაიძემ. იგი უფროსებთან გაიქცა ამბის შესატყობინებლად. ხოლო მისი თანაკლასელები არ დაიბნენ და უფროსების მოსვლამდე ხანძრის ჩაქრობაში ჩაერთვნენ.

○ წითელწყაროს რაიონული კულტსახლის თეატრალური კოლექტივი საგასტროლოდ ლაგოდეხს ეწვია. წითელწყაროელებმა რაიონის ცენტრის და სოფლების მაყურებელს უჩვენეს მდიდარი პროგრამა. იყო მოთხოვნა, კოლექტივი ხშირად ეწვიოს ლაგოდეხს.

○ სიღნაღის სახალხო თეატრის დრამატულმა კოლექტივმა სოფელ გამარჯვების მაყურებელს უჩვენა სტეფანსკის ვოდევილი „ჯადო“. დადგმა ისე დამაჯერებლად და მიმზიდველად იყო წარმოდგენილი, მაყურებელი მოინუსხა. სცენას ბევრი მოხუცი დაესწრო.

1972 წლის ივლისი

○ ზემო ქედის კოლმეურნეობის მძღოლი გურამ აფციაური დილიჩის მინდვრებზე მიავლინეს, კომბაინიდან მარცვლეულს ეზიდებოდა. მან ხელის მოთბობა სცადა და დღისით, მზისით, ერთი მანქანა ხორბალი მიჰყიდა ბუღდანა მარგოშვილს და 200 მანეთი გამოართვა. ეგონა ფეილაფერი ამით დასრულდებოდა. მას, როგორც სამართალში აღრეც ნამყოფს, წითელწყაროს სახალხო სასამართლომ 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

○ „ქალაქ წითელწყაროს ზრდასთან ერთად იზრდება მგზავრთა ნაკადი. ტრანსპორტის მუშაობა კი ხშირად უხერხულ და უსიამოვნო ფაქტებთანაა დაკავშირებული. ქალაქში დილიდან გვიან ღამემდე მორგეობენ ტაქსები, მაგრამ მგზავრებს დიდი გაჭირვება ან „სქელი“ კიბე უნდა ჰქონდეთ, რომ ისარგებლონ. მარტის მზესავით იშვიათად გამოჩენილი „წითელწყარო-ჯაფარიძის“ მარშუტზე მოძრავი ავტობუსი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას. მისი მოძრაობა ხშირად მძღოლის გუნება-განწყობაზეა დამოკიდებული. კარგი იქნებოდა ქალაქში რამდენიმე ავტობუსი მოძრაობდეს. რაიონის მოსახლეობის ბოსტნეულის მომარაგების მიზნით, კარგი იქნებოდა დაწესდეს ლაგოდეხის მარშრუტი „წითელწყაროელიანი“, ეს კი შეამცირებდა ბაზრის ფასებს,“ – წერს ჯუმბერ უთრუთაშვილი.

○ 9 საათზე მოტანილი პური გლეხებს ხელს ვერ შეუწყობს. ამ სათაურით რედაქციამ წერილი მიიღო. მასში აღნიშნულია, რომ ქედების ზონის მაღაზიებში პური ძალიან დაგვიანებით შემოაქვთ, ნაშუადღევს შემოტანილი პურით კი გლეხები შრომა დღეებში ჩაბმას ვერარ ასწრებენ. წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა წითელწყაროს რაიკოოპერატივს. გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ო. დათუკიშვილი იტყობინება, რომ წითელწყაროში მექანიზებული პურის საცხობების ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდება.

(სტილი დაცულია)

მოამზადა ილია მარტყოფლიშვილმა

სიახლე!

გაიხსნა კაფე-რესტორანი **„დავითი“** რომელიც მომხმარებელს სთავაზობს: ცხელ კერძებს, შაურმას, ნახშირზე შემწვარ თევზეულსა და ხორცეულს, ბოსტნეულის მრავალფეროვან სალათებს და ცომეულს.

კაფე-რესტორანში იმოქმედებს

ადგილზე მიტანის სერვისიც.

კაფე-რესტორანი აცხადებს **ვაკანსიას** სხვადასხვა პოზიციაზე 18-დან 40-წლამდე მამაკაცებისა და ქალბატონებისთვის. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ

მისამართზე: რუსთაველის ქუჩა №53, ან დაგვიკავშირდით:

☎ **577-34-55-39**

იყიდება!

იყიდება 67კვ.მ კომერციული ფართი ძველი რემონტით ქალაქ დედოფლისწყაროში, უზრუნველყოფილი ელექტრო ენერგიით, წყლით, ბუნებრივი აირით, კანალიზაციით. ფასი შეთანხმებით.

მსურველები დაგვიკავშირდით

☎ 599 55-90-20

იყიდება კერძო, კაპიტალური სახლი დედოფლისწყაროში, სახლის ფართი 300 კვ.მ, გარემონტებული, 4 საძინებლით, 2 სველი წერტილით, სახლი უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით, ელექტროენერგიით, წყლით, აქვს სათავსო, სარდაფი, ავტოფარეხი, 600 კვ.მ. ეზო. ფასი 100 000 $.

☎ 599 55-90-20

დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა ამავე ასოციაციის წევრი, ლიტერატურის ტრფიალი და აქტიური მკითხველი, სიკეთით სავსე ადამიანი, მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეული, შრომისმოყვარე და ოჯახის თავკაცი

არსენ ისიდორეს ძე ყოჩიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს შვილებს გოჩას და ნინოს, შვილიშვილებს არსენ და დათო ყოჩიაშვილებს, რძალს მარიკა პოპიაშვილს, მძახალს ნანა ჭიჭინაძეს და ახლობლებს.

დაიკრძალა 13 ივლისს, ქალაქ დედოფლისწყაროშო, ბარათაშვილის ქ. N13.

გაზეთ „შირაქის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ჭიჭინაძეს მძახლის

არსენ ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს ნანა ჭიჭინაძეს მძახლის

არსენ ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

რეზო მიშველაძე, მაყვალა გონაშვილი, მზია ხეთაგური, თემურ ჩალაბაშვილი, ეთერ ფაცურია, ნანი საბანაძე თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ჭიჭინაძეს მძახლის

არსენ ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ვახუშტი ქიზიყურაშვილი, ვაჟა მამაიაშვილი, თამაზ კობაიძე, ბაკურ გულუა, გოდერძი გონაშვილი, ილო თუშიშვილი, იაგო ყოჩიაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ჭიჭინაძეს მძახლის

არსენ ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

მარინა ცხვედიაშვილი და ჯემალ კუხალაშვილი გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ ნანა ჭიჭინაძეს, მარიკა პოპიაშვილს და გოჩა ყოჩიაშვილს მძახლის, მამამთილის და მამის

არსენ ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ჭიჭინაძეს მძახლის

არსენ ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილები: დავითი, ნიკოლოზი; შვილიშვილები: ხათუნა, ვაჟა, ლიკა, ზურა; რძლები: ნანა, ლელა, ეკა, ლელა; მაზლი სპირიდონი, სიძე ირაკლი. შვილთაშვილები: დათა, ნუცა; დისშვილები, მაზლისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიზა (ლიზიკო) ლაპიაშვილ-ტოკლიკიშვილი.

დაიკრძალა 13 ივლისს, სოფელ სამრეკლოში.

ლაშა ბექაური — ევროპის ჩემპიონია

(მეექვსე გვერდიდან)

ჩილეში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი და ლაშა აქაც მიიღებს მონაწილეობას. 5 აგვისტოს უნდა გაემგზავრონ და 11 აგვისტოდან შეჯიბრებები დაიწყება. მანამდე ლაშამ ყველა შეჯიბრი წარმატებით გაიარა და წარმატებების მოლოდინი ნამდვილად მაქვს. რუსეთში, პოლონეთსა და ლიტვაში მისი ასპარეზობა წარმატებული გამოდგა და დარწმუნებული ვარ, ჩილეშიც მიაღწევს წარმატებებს. უნდა ითქვას, რომ ქვეყნის საზღვრებს გარეთ, გასვლით ჩემპიონატებშიც საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა, ამიტომ სრულიად რეალური მოლოდინი მაქვს, რომ მედლის მოსაპოვებლად აუცილებლად იბრძოლებს. იმედი გვაქვს, აგვისტოშიც კიდევ ერთხელ გაგვახარებს, ჩვენს სახელს შორს გაიტანს და ქვეყანას წარმატებებს მოუტანს.

– ქედების ზონა ფალავანთა სიმრავლით ყოველთვის გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეწყობაც არ გაქვთ და სხვა ქვეყნის სპორტსმენები საუკეთესო პირობებში იზრდებიან, ქართველები მაინც ამარცხებენ მათ, როგორ ახსნით ამ ფაქტორს?

– პირველ რიგში ეს არის ჩვენი ქვეყნის სიყვარული, რაც თითოეულ ჩვენგანში ჭარბად დევს და მითუმეტეს სპორტსმენებში ეს გრძნობა ყოველთვის მძაფრია. დაუოკებელი სურვილი გვაქვს, ყველას დავუმტკიცოთ და ვაჩვენოთ, რომ მებრძოლი ერი ვართ. საოცარი გენეტიკის და დიდი წარსულის მქონე ერი, რომელსაც დიდი ტრადიციები გადმოგვეცა და ამ განწყობით ვახერხებთ საუკეთესო შედეგების დადებას. ძირითადად ფსიქოლოგიური განწყობებით ვახერხებთ ამას, რადგან ჩვენი სპორტსმენები, თუნდაც არანაირი ხელშეწყობა არ ქონდეთ, მაინც კარგ შედეგებს გვაჩვენებენ. გეთანხმებით, ჩვენს კუთხეში, ჩვენს სოფლებში ძალიან სპორტისმოყვარე ხალხი ცხოვრობს. დიდი ტრადიციები გვაქვს ამ კუთხით და მრავალი წარმატება ახსოვს ისტორიას. ძალიან ფასობს თითოეული წარმატება და ზოგადად, ადამიანების ინტერესი სპორტისადმი. ქედების ზონა საზღვრისპირა დასახლებაა და ბედნიერი ვარ, რომ ახალ თაობაშიც მუდმივად ძლიერად ჩანს სპორტისადმი ინტერესი. ეს არა მოყვარულის დონეზე, არამედ პროფესიონალურად, დიდ ასპარეზზე ფიქრით. მიხარია, რომ თითოეული ბავშვი ქუჩას ჩამოშორდება, სპორტში ჩაებმება და ამისათვის კონკრეტული მიზანი ექნება. გეგმებში მავნე ჩვევების ნაცვლად ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრებს, შეძლებენ გამოაჩინონ თავისი სოფელიც, კუთხეც და სამშობლოც. ამ მუხტს ნამდვილად ვხედავ და კმაყოფილი ვარ ახალი თაობის ინტერესით. იმედიანად ვარ. ჩვენი სოფლიდან ერთერთი მიხეილ ჩოხელი იყო, რომელიც მანამდე მსოფლიოს და ევროპის ფინალი იჭიდავა და მეორე ადგილს დასჯერდა, ვერცხლის მედალი მოიპოვა. იყვნენ ასევე ძმები ბექა და გიორგი ნათათრალაშვილები, რომლებიც მსოფლიოს პრიზიორები და ევროპის მეორე პრიზიორები გახდნენ. ახლაც ისეთი იმედისმომცემი თაობაა, რომ ვერ აღვწერ. ლაშას წარმატებების შემდეგ დიდი სტიმული მიეცათ. ლაშას ვიდეოკადრებს რომ უყურეს, მას შემდეგ თავად მოდიან და ყოველდღიურად მეკითხებიან, როდის განვაახლებთ ვარჯიშს, ერთი სული აქვთ. როგორც ჩანს ძალიან იმოქმედა მისმა წარმატებამ და იმედი ჩაესახათ, სხვანაირი შემართება ჩანს. მე იმედი მაქვს, რომ ეს ბავშვები ხვალ თუ ზეგ ჩვენს რაიონსაც ასახელებენ და მთელს საქართველოსაც.

ილია მარტყოფლიშვილი

სპორტი

ეს ჯერ კიდევ დასაწყისია

დედოფლისწყაროს რეგიონალური ფედერაციის კლუბმა „ლეგიონმა“ მიმდინარე წელს ბევრ საერთაშორისო, ევროპის და საქართველოს მასშტაბის ტურნირებში მიიღო მონაწილეობა და მაღალი შედეგებიც დადო-მოხსნა რეკორდები და სხვადასხვა სინჯის მედლებიც მრავლად მოიპოვა. კლუბს გამოცდილი მწვრთნელი, თავადაც არაერთი პრიზის და ჯილდოს მფლობელი **მიხეილ სეხნიაშვილი** ხელმძღვანელობს. უდავოდ მისი დამსახურებაა ეს წარმატებები. სწორედ ასეთი მიღწევებით წარსდგა კლუბი 23-25 ივნისს მსოფლიო ჩემპიონატზე ძალისმიერ სამჭიდში – I PSV-ს ვერსიით, რომელშიც მსოფლიოს 8 ქვეყანა - ირანი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, უკრაინა, კუვეიტი და საქართველო მონაწილეობდა. 300 სპორტსმენი ტოლს არ უდებდა ერთმანეთს. „ლეგიონის“ ღირსებას 8 სპორტსმენი იცავდა, თუმცა, რეალურად, 20 მონაწილის გაყვანაც უპრობლემოდ შეიძლებოდა ფინანსების სიმწირეს რომ არ შეეშალნა ხელი. მადლობა მშობლებს, რომლებმაც ამ 8 სპორტსმენის მონაწიოლეობა ფინანსურად უზრუნველჰყო. სპორტსმენებმაც იმედი არ გაუცრუეს და ნაყოფიერად იასპარეზეს. ისინი რამდენიმე დისციპლინაში გამოვიდნენ: ძალისმიერ სამჭიდში, ორჭიდში და ცალკცალკე. მიუხედავად იმისა, რომ ირანელი მსაჯები არცთუ მთლად კეთილსინდისიერად იქცეოდნენ და სპორტსმენებსა და მწვრთნელებს არ აფრთხილებდნენ იმ ცვლილების შესახებ, რომელიც შესრულების ტექნიკაში და სხვა ორგანიზაციულ საკითხებში შეჰქონდათ, ჩვენმა სპორტსმენებმა, მწვრთნელის ხელმძღვანელობით, ბოლომდე უკომპრომისოდ იბრძოლეს წარმატებისათვის. პირველი საასპარეზოდ ლადო ტუხაშვილი გავიდა. ის 10 წლისაა და 35 კილოგრამს იწონის. მას დაუპირისპირდა აზერბაიჯანელი სპორტსმენი, რომელიც აშკარად დიდი იყო ასაკითაც და წონითაც, მაგრამ მონაცემები გაყალბებული ჰქონდა. პირველ ეტაპე მან სერიოზულად გაუსწრო ლადოს, მაგრამ ლადომ ფარხმალი არ დაყარა და შემდეგ ეტაპზე სრულად ამოქაჩა სხვაობა და 1 კილოგრამით დაამარცხა კიდეც. ლადომ ოქროს მადლით დაიმშვენა მკერდი. როგორც ყოველთვის, შესანიშნავად იასპარეზა ევროპის ჩემპიონმა ნუკრი ქოზაშვილმა, რომელმაც, საბოლოო ჯამში, 3 ოქროს მედალი დაიმსახურა. სამი ოქროს მედლის მფლობელები გახდნენ ზუკა ნიპომნიშევი და ოთარ გავაშელიშვილიც, ორ-ორი ოქრო ქამილან ისმაილოვის და ანრი ყარაულაშვილის სახელზეა, ერთი ოქროს და ერთი ვერცხლის მფლობელი გახდა ბესიკ ყოჩიაშვილი, ერთი ვერცხლი ვალერი ჯავახიშვილს ერგო წილად. საბოლოო ჯამში საერთაშორისო ტურნირიდან 8 სპორტსმენმა 15 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი ჩამოიტანა. გულდასაწყვეტია, რომ დაუფინანსებლობის გამო შეჯიბრზე ვერ წავიდნენ ძალიან კარგი მონაცემის სპორტსმენები: მიშიკო აკიმენკო, ილია მოსეშვილი, ვასიკო ჩივაძე, ნიკა ბენაშვილი, გია შაშვიაშვილი, გიორგი ხუციშვილი, გიორგი ქართველიშვილი, ზაურ გურაშვილი, ილია ლაპიაშვილი, რევაზ ღვედაშვილი, ნიკა შიუკაშვილი, გიორგი ჯალიაშვილი, ვლადიმერ ბონდარენკო, რომლებსაც არანაკლები რეზულტატის დადება შეეძლოთ. დედოფლისწყაროს გუნდი „ლეგიონი“ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა და მას მხარში დგომა და დაფასება სჭირდება. გუნდმა მარტო მიმდინარე წელს საქართველოს ჩემპიონატზე 19 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი მოიგო, საერთაშორისო ტურნირზე - 13 ოქრო და 2 ვერცხლი, ევროპის ორგზის ჩემპიონი გახდა და რეკორდი დაამყარა ნუკრი ქოზაშვილმა და ამასახლა გუნდის მიერ მოპოვებული მსოფლიო დონის 15 ოქრო და 2 ვერცხლი დაემატა.

1 აგვისტოს დედოფლისწყაროში გაიმართება კახეთის პირველობა, სადაც გუნდი სრული შემადგენლობით იასპარეზებს და იმედს გამოვთქვამთ, რომ არა მარტო ლამაზ სანახაობას, არამედ მაღალ სპორტულ მაჩვენებლებსაც დადებენ.

ვუსურვოთ მათ წარმატებები და დავუდგეთ მხარში ეკონომიურად ვისაც რით შეგვიძლია.

ნაირა გორაშვილი

ულოცავენ!

მანია ღვედაშვილს!

15 ივნისს შენ 98 წლის გახდი. ცხოვრების დიდი გზა გაიარე, იშრომე, იღვაწე, გაზარდე შვილები, შვილიშვილები, მოესწარ შვილთაშვილებს. ძნელია სიბერე, ჯანის ტკივილი, მაგრამ მაინც ფეხზე დგახარ ჩვენს საიმედოდ, რადგან, ვიდრე დედა გყავს, არ დავბერდებით. გვინდა, იყო კვლავაც მხნედ და ასი წლის იუბილე მოგილოცოთ, ჩვენო ბერმუხავ. გვიყვარხარ და ვეფერებით შენს ჭაღარას. უფალი იყოს შენი შემწე.

შვილები: ნუნუ და მარინა ღვედაშვილები,
შვილიშვილები: მიხეილ სეხნიაშვილი და დათო პაქსაძე,
შვილთაშვილები: ნუნუკა და ნიკი სეხნიაშვილები, ლუკა პაქსაძე, დეხი, დისშვილები და ახლობლები.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 17.07	სამშაბათი 18.07	ოთხშაბათი 19.07	ხუთშაბათი 20.07	პარასკევი 21.07	შაბათი 22.07	კვირა 23.07
დღე	26 °	27 °	27 °	28 °	28 °	28 °	28 °
ღამე	24 °	25 °	25 °	26 °	25 °	26 °	26 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.